

# ბრძოლა

ნო საქ. ხელ. — ფე. || « LA LUTTE » — Revue mensuelle du  
პარტიულ ბიურო | Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

1725  
1925

ივნისი 1925 წ. № 1. Paris, Juillet 1925. [Prix 3 Fr.]

ბ რ ძ ი ლ ა .

36

ბრძოლა გრძელდება...

ბრძოლა სამყვდრო-სახიციცხლო, ბრძოლა შეუბრვარი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული დაბადა ბრძოლაში, გაძლიერდა ბრძოლით, იყენა გამარჯვება თუ განიცადა დამარცხება ბრძოლითვე, გაშლილი დროშით და შეკრული რიგითით. მას არ სწევები მტრის წინაშე მუხლის მოყარა, ბრძოლის ველის დატოვება, თავის მიზნების გადამალვა. ის სდგას თავის სადარაჯობები ისე, როგორც იდგა ათი, ოცი და ოცდაათი წლის წინ, ფხიზლათ, მამაცურათ, რწმენით და იმედით აღსავს.

ბრძოლის მიზანი იყიდვა დღეს, რაც იყო გუშინ და დარჩება მუდამ, უცვლელათ მის განხორციელებამდე.

სუვერენიბა ერის, ბატონიბა დემოკრატიის, დამყვიდრება სოციალიზმის—აი ჩვენი მიზნი, აი რისთვის ვიბრძევით ჩვენ. ამით ჩვენ ეუკავშირდებით საერთაშორისო მუშათა მოძრაობას და შევდივართ მის ოჯახში. ეს არის ძირითადი დებულებანი ინტერნაციონალური სოციალიზმისა, მისი მანათობელი ვარსკვლავი, მისი გზა და ხიდი. დროშა საერთო, მდგომარეობა სხვადასხვანაირი.

ამ დროშას ყავს ორი მტერი—ერთია ძველი, კარგათ ცნობილი, მეორეა ახალი, ახლათ გაცნობილი. ეს არის ბურუუზაზია და ბოლშევიზმი. ესენი ერთმანეროს ებრძევიან, ერთმეორეს ძირს უთხრიან, მაგრამ სოციალისტური ინტერნაციონალის ერთნაირათ ემტერებიან, მის წინააღმდეგ ერთიათ დგებიან. მათ შორის ერთი აიდი განსხვავდება. სოციალისტური პრინციპები აუცილებლათ გამომდინარეობენ ბურუუზიული პოლიტიკური და კენონმიური ფორმებიდან. კაპიტალიზმი სათავეა სოციალიზმის. ბოლშევიზმი კი ძირითადად უარყოფს ყველა ამ ფორმებს, ანგრევს ამ სათავეს და ამჟარებს წინავაპიტალისტურ. პრიმიტიულ ეკონომიკას. ერის და დემოკრატიის ბატონიბა პირველათ ბურუუზიამ გამოაცხადა, მარა არ გაარარა. მას ხელი ჩასჭიდა პროლეტარიატმა. ბოლშევიზმი არივე უარყო და მათ წინააღმდეგ ჯვარსანთა ომი გააჩანა.

აქედან ერთი დასკვნა: სოციალიზმს მეტი საერთო აქებს ბურუუზაზიასთან, ვინებ ბოლშევიზმთან. დღეს მთელ ეკროპაში სოციალისტური პარტიები ხშირათ ეკავშირებიან რადიკალურ ბურუუზიას, ხოლო კომუნისტურ პარტიას არაად და არასოდეს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიას შეუძლია იმაყოს იმით, რომ მან პირველათ დაუსვა მართალი დიაგნოზი ბოლშევიზმს. მან პირველათ ამ ოცი წლის წინეთის აღიარა ანტიდემოკრატიულ და ანტიმარქსისტურ მიმდინარეობათ. ამ ნიადაგზე მან მისცა მას ბრძოლა და დაამარცხა სახებით, გადააქცია ის არარათ. უმნიშვნელო ჯგუფათ. ეს იყო პირველი ჩვენი გამიჯვნა მათგან, გამიჯვნა თეორიული. ბრძოლა იდეიური. ეს იყო იმავე დროს ამ გამიჯვნის სისუსტე. ხალხი სწავლობს ფაქტებზე, ცხოვრების მაგალითებით. ფაქტი კი იმ დროს არ იყო. ბოლშევიკები იდევნებოდა ისე, როგორც მენშევიკები. ისინი მეტაცველებდნ დაახლოვებით ისე, როგორც ჩვენ, მასა ხშირათ დაფასებაში ყოყმანობდა.

ბოლშევიზმისაგან ნამდვილი პოლიტიკური გამიჯვნა მოხდა მხოლოდ დღეს, რთუა მისი საშინელი სახე აშეარათ გამოჩნდა და ხალხს სულთამშუთავათ მოევლინა, როცა მასში ქვეყანამ ცხადათ დაინახა ინკვიტორო.

ბურუუაზიული ურთიერთობა იძლევა საშუალებებს ბრძოლისა და მოძრაობისა. ის ს ცნობს თავისუფლებას აზრისს და მოქმედებისას. საშუალება ურთიერთობა სპობს ყველა საშუალებას, მაგრა კეტს ყველა კარგებას. არავის აძლევს გასაქანს არც სულიერ და არც მოტერალურ სფეროში. შევი რეაქტია გამეფდა. ბურუუაზიული ურთიერთობა ხალხს სანატორელათ გაუწდა.

ევროპაში სოციალდემოკრატია გამდლაცრდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატში გაქრა წვრილ ბურუუაზიულ-სოციალური ილიუზიები, დამარცხდა პრუდონიში, ბლანკიში, ფურიერიში და სხვა მსგავსი მიმდინარეობანი. ჩევნში იყო მხოლოდ ბოლშევიკური ილიუზია (რუსეთში კი ბოლშევიკურ-ნარიდნიკული). ამ ხანათ ის, როგორც იდეიური მიმართულება, განადგურებულია, მისი მომზრე კომუნისტებით განისაზღვრება. დასაძლევია ბოლშევიკური ხელისუფლება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილება.

ბრძოლის პირველ რიგში დგას დამარცხება არა ბოლშევიკური იდეოლოგიისა, არამედ ბოლშევიკური თვითმპურობებობისა. პირველის არსებობა დაყრდნობილია მეორეზე. ის კიდევ ბოგინებს ციხით და ჩეკით. ამ წერილების გაუქმება თავისთვათ აუქმებს მის იდეოლოგიას, მის პარტიას, შეს აცილ-დაყოლთ.

მაშასადამე, მიმდინარე მომენტის ბრძოლის საგანია—დაცემა საბჭოთა ტირანიისა და აღდგენა საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული მართველობისა.

ჩევნი მოთხოვნილება, ჩევნი ხარტია—ჩევნი კონსტიტუციაა. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული და გამოცხადებული. ეს თავისუფალი ერის თავისუფალი შემოქმედება—ბრძოლის უახლოესი მიზანი; ბართონბა ერის და დემოკრატიის—ჩევნი მთავარი გზა-კვალია. ვინც ჩევნთან არ არის, ჩევნი წინააღმდეგია; ორჭოობა, გაძრომ-გამორიმა, ორ სკამზე ჯღომა გამორიცხულია. მდგომარეობა ნათელია:

ბოლშევიკური სტარგალობა თუ თავისუფლება. ბრძოლა მტარევალობსთან თავისუფლებისთვის—აი საითენ მივიღობოთ ჩევნ და ამას მოვითხოვთ საქართველოს ყველა დაბაგრულთაგან, ყველა სასიცოცხლო ძალებისაგან.

„ბრძოლა“ არის ამ ბრძოლის ორგანო, მისი იდეური გამოხატულება და ბაირალტარი. ის განაგრძობს ძველ გზას, ძველი რევოლიციური ცეცხლით და ნათელი აზრით, ერთი რეჟიმი დაეცა, მეორე მიწურულშია. მისი მესაფლავე სოციალ-დემოკრატია.

მაშ, წინ, წინ, შეუდრეველათ, შეუჩერებლათ...

ვატარა კრთა დამიღებიდებოდეთ.

### კარლ კაუცისა.

სიხარულით შევიტყვა, რომ ჩევნი ქართველი ამხანაგები ქართული უურნალის გამოცემას პირებები პარტიში. სიხარულით მიევსალმები ამ ახალ თანამებრძოლს და ვუსურებდ მას სრულ წარმატებას. ეს მოწმობს საქართველოს სოციალდემოკრატიის გაუქცეველ სასიცოცხლო ძალას და თავის მხრით გაანაყოფიერებს პარტიის ცხოვრებას და შესძენს მას ახალ სამოქმედო ენერგიას.

ბოლშევიკების აზრით, რა თქმა უნდა, ისეთი პატარა ერის ბედილბალი, როგორიცა ქართველი ერი, ასრულებულია.

მათ რომ პეითხოო, პატარა ერებს დიდების ლუქმათ გახდომა უწერიათ. სრულიად დამოუკიდებლათ არსებობა მათ არ ძალუბთ. რუსეთს, თურქე, უნდა მოექდინა საქართველოს ანექსია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაიმონავებდენ ინგლისელებს ბათუმ-ბაქეოს გზის ხელში ჩასაგდებათ.

განა ლირს იბრძოლონ ქართველებმა თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, როცა ისინი ამით რუსული ხარიბლიდან ინგლისის ს ცილაში გადავარდებოდენ?

და ვართლაც, ასეთი გამარჯვება ბრძოლათ არ ლირდა. მაგრამ, საბეჭნოეროთ, საქმე სულ სხვანირათაა.

ჩევნ ვიცით, არის მთელი რიგი პატარა სახელმწიფოთა, რომელიც სრული დამოუკიდებლობით სარგებლობენ. მოვიგონოთ თუნდაც მხოლოდ პატარა შევიცარია, ბალტიის და ჩრდილოეთის ზღვის განაპირა პატარა სახელმწიფოები, ბელგია, პოლანდია, სკანდინავიის სამი სახელმწიფო.

რაზეა დამყარებული ამ უკანასკნელთა დამოუკიდებლობა?

ისინი კულტურულათ და ეკონომიკურათ განვითარების მაღალ საფეხურზე დგანან და ამ მშროვ თავიანთ ძლიერ მეზობლებს სავსებით ეტოლებიან. მაგრამ ამდენადც დიდმინიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ისინი დემოკრატიის სამეფოში მდებარეობენ, რომ არა მარტო თვით ისინი არიან მოწყობილი თითქმის უმაღლეს დემოკრატიულ საფუძველზე, არამედ აგრეთვე ის დიტო სახელმწიფოებიც, რომლებიც ჟეიძლება მათ დაემუქრონ, უკვე ძლიერ დაწინაურებული არიან დემოკრატიის განვითარების მხრით. მშრომელ მასის სურვილის წინააღმდეგ არც ერთ ამ სახელმწიფოთაგანს არ ძალიას ომის წარმოება.

მუშაბი და გლეხები კი ყველან წინააღმდეგი არიან თავდასხმითი ან დაპირობითი ომის. ხალა დიდი სახელმწიფოს მხრით პატარას წინააღმდეგ მხოლოდ ასეთი და არა თავდაცვითი ომია ანგარიშში მისაღები.

ამასთან ერთად დემოკრატია მოითხოვს, რომ სახელმწიფოში ყველა მოქალაქეს თანაბარი უფლებები ჰქონდეს. ეს ნიშავის იმას, რომ დემოკრატიულმა სახელმწიფომ, რომელიც თანაბარ კულტურის მხარეს იპყრობს, უკანასკნელის მცხოვრებთ უნდა მიანიჭოს იგივე უფლებები, რომლითაც უკვე აღჭურვილი იყვნენ დაპყრობილ სახელმწიფოს მოქალაქეები.

მაგრამ ეს გარემოება დაპყრობილ მხარის მცხოვრებთ კი არ აქვთ შეუზრიგდენ თავის ბერს, არამედ აღჭურავს მათ პლიტიკური ბრძოლის საშუალებებით, უადგილებს მათ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ამიტომ დემოკრატიულ სახელმწიფო ისათვის ყველი მისი პროვინცია, შემოერთებული არა მცხოვრებთა ნება-სურვილით, არამედ დაპყრობის უფლებით, შეადგენს მისი სისუსტის და არა ძლიერების ელემენტს.

ეს იგემა გერმანიამ, რომლის დემოკრატია ამ ნახევარი საუკუნის, წინ ჯერ კიდევ სუსტი იყო, ასე რომ მისი წინააღმდეგობის მიუხედავათ სახელმწიფო შეირჩინა პონ-ნანი და ჩრდილო შეატყიყი, აგრეთვე მიითვისა ელაზა-ლორენი ადგილობრივ მცხო-ვრებთა სურვილის წინააღმდეგ. ავსტრიის იმპერია დალუპა მისი შემადგენელი ერგის უფლებათ ფეხვევეშ გათხლა.

რამდენადაც უფრო რეალურ ძალად ხდება დემოკრატია, მით ნაკლებ ელტვიან დემოკრატიული დიდი სახელმწიფოები კულტურულად თანასწორ პატარა სახელმწიფოების შემოქრებას მათი სურვილის წინააღმდეგ, მით უფრო უზრუნველყოფილია ამ უკანასკნელთა დამოუკიდებლობა.

სულ სხვა ზეცით მეორე რიგში მოხსენებულ სახელმწიფოთა მდგომარეობა. თანამდეფრივ ღირ სახელმწიფოებთან შედარებით ესენი ყველა ძლიერ ჩამორჩენილი არიან ეკონომიკურათ და კულტურულუათ. მათ არ განვითარებიათ ჯერ ის ელემენტები, რომლებიც თანამდებროვე დემოკრატიის ალორძნიერების წინასწარ პირობებს შეაღენენ. ისინი იმყოფებიან სახელმწიფო დესპოტიზმის საფეხურზე, რაიცა არ უარყოფს პირებულყოფილ დემოკრატიას, გვარეულობის ან თემის საზღვრებით შემოვარგლულს. ესენი ფეხშე დგანან მხოლოდ სამხედრო ძალის წყალობით და მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა მხოლოდ და მხოლოდ მათ განკარგულებაში მყოფ სამხედრო ძალების რაოდენობაზეა დამკიდებული.

და თუ ძლიერმა სამხედრო ქვეყანამ ანგესია უკი მდგარ სახელმწიფოს, რომ-  
ლიც კონსტიტურათ იმდენათ ჩამორჩენილი და ბარბაროსულია, რომ არ გააჩნია თანა-  
მედროვე დემოკრატიის ელემენტები, დამარცხებულ სახელმწიფოს ის დემოკრატიულ  
უფლებებს არ ანიჭებს და არ ანიჭებს იმ შემთხვევაშიაც კი, როცა თვით დაპყრობი  
დემოკრატიულათ არის მოწყობილი. დაპყრობილი ქვეყანა იქცევა მხოლოდ უფლე-  
ბო კოლონიათ.

ერები, რომელნიც ჯერ ას იმყოფებიან იმ საფეხურზე და არც იმ საგარეშეგო

მექობლურ ურთიერთობაში, რომელიც მათ კოლონისათვის გამოსაყენებლათ ხდის, დიდხანს, უცველია, თავის დამოუკიდებლობას ვერ შეინარჩუნებენ, თუ ისინი სუსტი და პატარან არიან. მაგრამ ეს არას შემთხვევაში არ შეადგენს საერთო აუკი-ლებელ კანონს, რომელსაც ექვემდებარება კველი პატარა სახელმწიფო და ნაციონალი.

და ესლა, როგორაა საქართველოს საქმე? იმყოფება თუ არა ის ისეთ საფეხურზე, რომ კოლონიან გახდენისთვის იყოს განწირული?

არას შემთხვევაში. კულტურულად და კონომიურად საქართველო სრულიად თანამშრომანია იმ მის დიდი მექობლის, რომელიც დღეს ერთად ერთი წარმოადგენს საშიშროებას მისთვის. თანამედროვე სახელმწიფო ბრძოლის ელემენტები მას იმ დონეზე აქვს განვითარებული, როგორც რუსეთს. შეიძლება ითქვას კიდევ, რომ რუსეთზე უფრო მეტადაც, ვინაიდან თანამედროვე სახელმწიფო ბრძოლის განხორციელება მით უფრო აღრეთ შესაძლებელი, რაც უფრო მცირეა სახელმწიფო. რაც უფრო დიდია მისი სიტრუ, მით უფრო მაღალ განვითარებას უნდა მიაღწიოს ინდუსტრიამ და მიმოსვლის საშუალებებმა, რომ დემოკრატიამ საქმაო ძალა დაგროვოს სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლების დასამორჩილებლად. უბრალო შემთხვევა კი არაა, რომ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა ევროპაში პატარა შეკიცარია იყო. ისა და მასავით პატარა ნიდერლანდი შეადგნდნენ თავისუფლების თავშესაფარს იმ დროში, როცა ევროპის კონტინენტზე კველა დოდ ქვეყნებში ჯერ კიდევ დესპოტიზმი მეფობდა.

და რუსეთის უკანასკნელმა რევოლუციამ დემოკრატიული წყობილება მოუპოვა ყოფილი იმპერიის განაპირა პატარა ერებს ბალტის ზღვაზე და კავკასიონის ქედის სამხრეთით, მაშინ როდესაც საკუთრივ რუსეთში დარჩა ცენტრალური დესპოტიური ხელისუფლება,—მხოლოდ სახელწიფოება გამოიცვალა. დემოკრატია აქ იყო მოყლე ვადით.

აქედან წარმოიშვა მწვავე წინააღმდეგობა რუსეთსა და მის განაპირა სახელმწიფოებს შორის. ეს წინააღმდეგობა ბოლოს იქმდე მკვიდა, რომ საქართველომ კვლავ დაკარგა ახლად მოპოვებული დამოუკიდებლობა, ხოლო ბალტის განაპირა მცირე სახელმწიფოების დამოუკიდებლობა მუშად განსაცდელშია.

ეს სულ სხვა მდგომარეობა, ვინემ განვითარებულ ქვეყნების, კოლონიალური ქვეყნა ეკონომიკურად ყოფლთვის ჩამორჩენილია და თანამედროვე დემოკრატიის ელემენტები არასორის განახინა. კოლონიის დაბყრობი ქვეყანა ეკონომიკურად ყოველთვის უფრო განვითარებულია და შეიძლება ფრიად დემოკრატიულ ნიადაგზე იყოს მოწყობილი, როგორც ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და პოლანდია.

საქართველოში, პირიქით, ჩენ გებდავთ, რომ დაპყრობილი ქვეყანა დაახლოებით ეკონომიკურ განვითარების იმავე საფეხურზე იმყოფება, რომელზედაც დამპყრობი. ხოლო ამავე დროს ის უფრო ახლო დემოკრატიისათან, ვინემ დამპყრობი ქვეყანა, რომელშიც ერთგვარი აღმოსავლეთური დესპოტიზმი მეფობს. და სწორედ ამიტომაც დაკარგა პატარა ქვეყანამ თავისუფლება.

რუსეთის მუშებსა და გლეხებს რომ ისეთივე თავისუფლება ჰქონდათ მოპოვებული, როგორიც საქართველოში იყო მის დამოუკიდებლობის დროს, ისინი თავის დეში არ დაუცვებდნენ, რომ წითელი არმია ბანდიტურათ დასხმოდა თავს პატარა საქართველოს რესპუბლიკას მის გასაძარცვავათ და დასამონებლათ. და ან საქართველო რომ დემოკრატიულ რუსეთთან ყოფილიყო დაკავშირებული, ქართველი ერი ისე განვითარებოდა და გაცხოველდებოდა, რომ მის სრულ დამოუკიდებლობას წინ ვერავინ დაუღებოდა, ისე როგორც ძლიერმა დიდმა ბრიტანეთმა ვერ შეინარჩუნა პატარა ირლანდია მის მცხოვრებთა სურვილის წინააღმდევ.

მეორე მხრით, ეკონომიკურად დაქვეითებულ დესპოტიურ რუსეთის გვერდით აყვავებულ დემოკრატიულ საქართველოს ასებობა—ეს იქნებოდა რუსის მუშებისა და გლეხების გამუდმებულ წაქეზება დემოკრატიისათვის საბრძოლველათ.

აი ამიტომ ჩაქეზით რუსის ჯალაზება საქართველოს დემოკრატია და არა ვითომდა ინგლისელების შეშილი, რომლებიც თურმე ბაქეზე გალაშერებას აპირებდნენ, რაც სრულიად არ იყო მოსატანი.

ამავე მიზეზით განასაცდელში იქნება რუსეთის კველა განაპირა დემოკრატიული ქვეყნების თავისუფლება, სანამ ბოლო არ მოედება ბოლშევიკურ კლიკის დესპოტიზმს.

აი ასეთია ამ პატარა სახელმწიფოთა მდგომარეობა, რაც სრულიად განსხვავებულია როგორც დასავლეთ ევროპის პატარა კულტურულ სახელმწიფოების, ისე კოლონიებათ ქუეულ, აღმოსავლეთურ დესპოტიზმის საფეხურზე მყოფ სახელმწიფოთა მდგომარეობისაგან.

მაგრამ დღეს ამ სახელმწიფოებშიაც სწრაფად ვითარდება თანამედროვე დემოკრატიის ელემენტები. ევროპიელ სახელმწიფოების კოლონიალურ ბატონობის დღეები დათვლილია.

თვით ბოლშევკიური ძლიერ ენერგიულ ფაქტორს წარმოადგენენ აზის და აფრიკის ამბოხებისას. ისინი ვერ ამჩნევენ მხოლოდ, რომ ამით დემოკრატიის და არა სხვა ვისმეს საქმეს აკეთებენ.

რასკვირევლია, ეს ძველი, მეფეური ტრადიციაა. მეფის სახელმწიფო მოღვაწეები და აგნენტები დაულალავათ მუშაობდენ რევოლუციისა და თავისუფლებისათვის, რა თქმა უნდა, არა რუსეთში, არამედ ოსმალეთში, სპარსეთში და ინდოეთში.

რუსეთის განაპირო პატარა სახელმწიფოები უკვე იმდენათ დაწინაურებული არიან დემოკრატიის განვითარების გზაზე, რომ მათ დამოუკიდებლობას დემოკრატიულ დიდ სახელმწიფოთა კოლონიალურ პოლიტიკის მხრივ საფრთხე არ მოელის.

მიუხედავათ ამისა მათი დამოუკიდებლობა არა ისე უზრუნველყოფილი, როგორც დასავლეთ ევროპის პატარა სახელმწიფოების, და ეს იმიტომ, რომ მათ მეზობლათ ჰყავთ უაღრესათ არა დემოკრატიული დიდი სახელმწიფო.

პატარა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გაცილებით უფრო მეტათა დამოუკიდებული მის ირგვლივ გამოიყებულ საერთო ატმოსფერისაგან, ვინემ დიდის. რუსეთის მონაპრე პატარა სახელმწიფოთათვის ეს ატმოსფერა განისახლვერება ამ კერძორთელა სახელმწიფოს შინაგანი ატმოსფერით.

ი. ყოველ შემთხვევაში ამდენათ საქართველოს, ისე როგორც დანარჩენ განაპირო სახელმწიფოების არსებობა, ძლიერ დამოყიდებულია რუსეთის სახელმწიფოზე. ბატონობს რუსეთში დესპოტიზმი, საქართველოს დამოუკიდებლობა საფრთხეშია. თუ რუსეთში დემოკრატია ბატონობს, ის საქართველოშიც უზრუნველყოფილია. რომ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა თავისი თავისუფლება მოიპოვონ და შეინარჩუნონ, საჭიროა თვით რუსეთის შემცირება და გლეხებმა შესძლონ განთავისუფლება.

ეს ყოველთვის გარგათ ესმოდა საქართველოს სოციალდემოკრატიას და მუდამ მცირო ურთიერთობა ჯეინდა რუსეთის სოციალდემოკრატიასთან.

მაგრამ რუსეთის დემოკრატიის ბედს უდიდესი მნიშვნელობა და წონა აქვს არა მარტო ამ განაპირო სახელმწიფოთათვის.

რუსეთის დესპოტიზმსა და დასავლეთ ევროპის შეუ ჩამწერილებულია მთელი ზოლი სახელმწიფოების, რომელთაც დასავლეთ ევროპისაგან შეუთვისებიათ დემოკრატიული ფარმები, ხოლო რუსული დესპოტიზმისაგან — სისტემა იქ გაბატონებულ მთავრობის მხეცური ძალმომრეობისა პოზიციის წინააღმდეგ. ამ ზოლს შეადგენენ: პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ბალკანეთის სახელმწიფოები და იტალია. მათი მთავრობების ძალმომრეობა მიმართულია უმეტეს ნაწილათ ბოლშევკიური ბინააღმდეგ და მიუხედავათ ამისა ეს ძალადობის რეემი თავის მაცოცხლებელ ძალას ჰკრებს ბოლშევკიზმისაგან.

იმ დღეს, როცა რუსეთში ბოლშევკიზმს დემოკრატია განდევნის, ის უძლევედი შეიქნება არა მარტო პატარა სახელმწიფოებში, არმედ უფრო მოსრდილ ქვეყნებშიც, რომლებიც რუსეთსა და დემოკრატიულ დასავლეთს ზორის მდებარეობენ. მხოლოდ მაშინ შეიქმნება პატარა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა, ხოლო ევროპაში დემოკრატია და მშეიღებინანობა განმტკიცდება.

ამგარათ, დემოკრატიის საქმე რუსეთში არას შემთხვევაში არ წარმოადგენს ისეთ საკითხს, რომელიც მხოლოდ რუსის ხალხს ეხება და სხვისი არავისი სადარღველი არის. ის უნდა გახდეს ინტერნაციონალის ცენტრალურ პრობლემათ. ქვეყნის წარმატებისთვის ის უმნიშვნელოვანესი საკითხია.

ერის თვალთვამდებარებაა.

სოციალიზმის ერთი ძირითადი პრინციპთაგანია ერის უფლება თვითგამორკვევისა.

რას ნიშანებს ეს დებულება, რა საფუძვლზეა ის აგებული და რა ფორმას იღებს პლატიკაში?

ერთ, ეროვნული იდეას სტულიად ახალი მოვლენას, ის გასული საუკუნის ლი-  
ძო შეიღია. წინეთ პოლიტიკური მოქადაციის კალაპოტი იყო ამა ეროვნება, პა-  
შედ სახოვადოება, რომელიც დევნოდა და ისლებოდა გარეშე ერის დამახასიათ-  
ბელ ნიშნებისა. საშუალო საუკუნეთა, ბარონები—თავად-აზნაურება და სამდველო-  
ება—სავსებით კოსმოპოლიტური სოციალური ერთეულია და მოკლებულია ყოველ-  
გვარ ნაციონალურ სულისკვეთებას. მჩერეველობის განვითარება და ბურჟუაზიული  
ურთიერთობის აღრიძინება პირველათ იწყებს საზოგადოების დაწარილებას ეროვ-  
ნული ნიშნებით. ეს მიმდინარეობა იურიდიულ სფეროში იხატება რევოლუციებით,  
გამოლენიდებით ხალხის, როგორც დემოკრატიის და ერის, როგორც ნაციონალური  
ერთობის. ეს დიადი მოძრაობა ევროპას მოსდგა ნაპოლეონის ომებში და ძირბუდი-  
ანათ ააფრინავა ძველი ობიექტობური წესწყობილება.

წინანდელი კოსმოპოლიტური სახოვადოება ახლა იღიანდებს დემოკრატიულ და ეროვნულ სახოვადოებათ. ეს პირველი ნაბიჯი პოლიტიკაში მარცხდება, ძველი ქვეყანა მასშე შეუს იძიებს ვენის კონგრესით (1815 წ.) და „წმიდა კავშირის“ დაარსებით. ეს დიპლომატიური ხუსტლა ერთ დაკვრით იგნორა ორმოცდარაში და რევოლუცია ევროპის საერთაშორისო მოვლენათ ხდება. დამარცხებულ მიმდინარეობამ კვლავ იფეთქა და თან ჩითრით თითქმის ყველა ხალხი და ერთ. ის აღმოჩნდა საქამაო ძლიერი დროვადასული წყობილების დასანგრევათ, მარა ნაკლებათ ძლიერი თავის ბარონობის დასამყარებლათ. „წმიდა კავშირი“ ველაპ შედგა, ახალი იდეი ცნობილ იქნა, მარა მას დაეცატრონა ძველი ბატონები. იწყება ლიბერალიზმის გატარება კონსერვატორების მიერ. ბრძოლა ეროვნების და დემოკრატიის წინააღმდეგ ღებულობს ახალ სახეს. დამორჩილება ხალხის და ნაციის ცენტრიან კონსტიტუციის საშუალებით გამოცადდა მთავარ ფარხმალათ ინტერნაციონალური რეაქციისა. ამ მდგრამარეობას არ ურიცდებიან პროლეტარიატი და დამორჩილებული ერები. ბრძოლა გრძელდება.

როგორც ხდავთ, ერის თვითგმორკვევა ისტორიულათ გაშინჯული, არის ერთი შტრი ხალხთა პოლიტიკური თვითგამორკვევისა, ნაწილია დაჩაგრულთა საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობისა. ისინი ერთათ მიღიან, ერთ სათავეში თავს იყრინან. მათი ერთათ აცმა, ერთ პირიციპიალურ მთელთა და პროლეტარიატისათვის სავალდებულოთ გამოცხადება პირველათ მოახდინა კარლ მარქსმა პირველი ინტერნაციონალის პირველსავე სხდომაზე თავის «დამარსებელ მიმართვაში», 1864 წ. აქ ჩვენ კითხულობთ:

ცხადით, გარესის ანრით-ბრძოლა ერთს თავისუფლებისათვის დამპყრობელთა წინააღმდეგ წილადს ბრძოლას მუშათა განთავისუფლებისათვისაა. ეს სართო პრო-

ლეტარული ბრძოლაა. ამ პრინციპის გატარება მოითხოვს კავკასიის და პოლონე-  
თის განთავისუფლებას უცხო ულლისაგან. მარჯსი იძლევა არა მარტო თეორიულ  
დებულებას, არამედ ბრძოლის კონკრეტულ საგანსაც. დაპყრობა ერთი ერთი მე-  
რისაგან, ისე როგორც ერთი პიროვნების მეორისაგან, დაგმობილია, თავისუფლე-  
ბეთინებული ურთიერთობა ერთი შორის, ისე როგორც ადამიანთა შორის, უმდ-  
ლეს წესათ წამოყენებულია. აი ამას ნიშანებს ერთი თვითგამორკვევა, ეს არის უფლება  
ერთი თავისუფლათ, სხვა ერთი ძალადაუტანებულათ განწესრიგოს თავისი ცხოვრება და  
სხვა ერქებთან დამოკიდებულება. ეს აჩრი რეზოლუციებში იწნა შემდეგ ჩამოყალი-  
ბებული ინტერნაციონალურ კონგრესებზე.

ამნაირათ, სოციალისტური შეხედულობა ნაციათა ურთიერთობაზე გამომდი-  
ნარებს მისი შეხედულებისაგან ადამიანთა ურთიერთობაზე. ორივე აგებულია ერთ  
მთავარ დებულებაზე—თანასწორობაზე. ყველა ერთ, მიუხედავათ მისი რიცხვისა და  
მდგრადარებისა, თანასწორია, ერთნაირი უფლების მატარებელია. თავისუფალი შე-  
თანხმება საერთაშორისა უფლების ერთათ ერთი გზა და ხიდია.

აი ეს შეხედულობა შეითვისა შემდეგ ბურჟუაზიიდან გამოსულმა რევოლუ-  
ციურ დემოკრატიამ, რომელმაც 1873 წ. თავის ინტერნაციონალურ კონგრესზე იტა-  
ლიის პატრიოტების (გარიბალდი, მაძინი და სხ.) და საფრანგეთის რადიკალების  
(ვიქტორ კუგო, შიშლე, კინგ და სხ.) მეთაურობით გამოიტანეს „ხალხთა უფლების  
დეკლარაცია“. აი ამ „დეკლარაციის ზოგი მუხლი:

“ყველა ხალხი ურთიერთშორის თანასწორია, მიუხედავათ მათი ტერიტორიის  
რაოდენობისა და მისახლების სისქისა.

“არაეთირ პიროვნებას, არავითარ მთავრობას, არავითარ ხალხს არ შეუძლია  
კანონირათ, რამე მომზადებით დაეპატრონოს მეორე ხალხს ანეჭსით, დაპყრო-  
ბით თუ სხვა რამე საშუალებით.

“ყველა ხალხს აქვს უფლება შემოსვეის უკუცევისათვის მოიხმაროს თავისი  
ტერიტორიის ყველა რესურსები, მცხოვრებთა ყველა პირადი თუ კოლექტიური  
ძალა“ 1).

პრინციპი ხალხთა თანასწორობისა არის პრინციპი სოციალისტური და რევო-  
ლუციური დემოკრატიის. დაჩაგრულ ერთა ყველა ჭეშმარიტი პატრიოტები ამ  
ორ მიმდინარეობას კუთვნიდენ.

სულ სხვაა პრინციპი ნაციონალისტებისა. ისინი ერთი სრულუფლებიანობას  
აღიარებენ მხოლოდ თავის ერთსათვის, ხოლო სხვა ერს, სადაც კი მიახელებენ, იმო-  
რჩილებენ. ნაციონალიზმი მთავრობით პოლიტიკური შინაარსია იმპერიალიზმის.

სოციალისტური და ნაციონალისტური შემეცნება ნაციისა წარმოადგენს ორ  
მოპირდაპირე მიმდინარეობას, რომელთა შორის მუდმივი ბრძოლაა. მათ შორის  
მოწყვეტული რევოლუციური დემოკრატია თითქმის სავსებით გაილესა, გაითქვი-  
ფა და ბოლოს დაიშალა. ამ ყამათ „ადამიანის უფლების“ სახელით ის ცდილობს  
აღდგეს და ინტერნაციონალურ ორგანიზაციათ გახდეს.

ერთი თვითგამორკვევის პრინციპიალურ დებულებისაგან პრაქტიკულ პოლიტი-  
კათ გადასაქცევათ საჭიროა ერთი პირობა—დაჩაგრული ერთი გაცნობიერება და და-  
მჩაგრელის წინააღმდეგ დარაზმეა. ის უნდა გრძნობდეს თავის თავს თანასწორათ  
გაბატონებულ ერთან, საკუთარი განვითარების და გზის აუცილებლობას, თავის თა-  
ვის პატრონობის შესაძლებლობას. ასეთი ცვლილება ხდება არა აგიტაციის და პრო-  
პაგანიზოს საშუალებით, არამედ ობიექტიურ, ისტორიულ გარემოებათა ძალდატა-  
ნებით. 1848 წელს ჩეხო-სლოვაკები არა თუ არ ითხოვდნენ თავისთვის რამე უფლე-  
ბებს, არამედ ეხმარებოდნენ მეფის მთავრობას კვენგრელთ მოძრაობის ჩასაქრობათ.  
საქართველო მესამეც წლებში არა თუ არ ეხმარებოდა მთას რუსეთის წინააღმდეგ,  
არამედ პირიქით ეხმარებოდა რუსეთს მთის წინააღმდეგ. ჩეხელები და ქართველები  
თავის ინტერესებს არ ყოფენ ამ ხანში გაბატონებული ერთი ინტერესებისაგან. სა-  
ქართველოს სოციალდემოკრატია ეს ისტორიულათ ბოძებული ნიადაგი თავითანვე  
იცნო და მასზე ააგო თავისი ცხოველმყოფელი მოდვაწეობა. მარა როგორც კი გა-

1) დეკლარაცია „მშეიდობიანობის და თავისუფლების ინტერნაციონალური  
ლიგისა“.

ჩემოება შეიცვალა და ისტორიამ ერი შემოაბრუნა ნაციონალური პოლიტიკური გზაზე, პარტიაც შემობრუნდა მასთათ ერთათ და ერის თვითგამორკვევა პრაქტიკული პოლიტიკის საგანათ აქცია.

ამნაირათ, ერის თვითგამორკვევის პოლიტიკური მატარებელია თვით ერი. ეს უპირველეს და მიუცილებელი პირობაა მისი გატარებისა. აქ, ამ გზაზე, მას ხედება მოწინააღმდეგ პოლიტიკური მიმდინარეობანი, გაბარონებული ერის შეთაურ კლასების ნაციონალური პოლიტიკა, მათი ნაციონალიზმი და იმპერიალიზმი.

იმპერიალიზმი გამოიხატა ომებში, მძლავრის მიერ სუსტის დაბევეში და დამარცხებაში, ხოლო რევოლუციური დემოკრატიზმი და ერის თვითგამორკვევა იტალიის აღდგენაში და წვრილ ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ერთა და მუშათ მოძრაობამ აიძულა იმპერიალისტები ყველა ქვეყნისა შეთანხმებულიყვენ და ამ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთათ დამდგარიყვენ. ხმალი ქარქაშში ჩააგეს და საერთაშორისო კონფერენციები დაიწყეს. დიდი სახელმწიფოები შეთანხმდენ და ქვეყანა განაშილეს. და რომ ეს განაშილება მისაღებათ გამოეტანათ, მას სახელი გამოუცვალეს, დაპყრობის და ანგეჭისის მაგიერ დაარქევს «გავლენის სფერო». ამით ვითომ მშვიდობიანობა დაყარდა.

**ნათქვამია:** კაცი ბჭობდა, ეშმაკი იცინდაო. ამ ეშმაკის როლს ასრულებს იგივე იმპერიალიზმი, იგივე ნაციონალიზმი, რომელიც თავის სახლვრებში ვერ ისვევებს, არ ისვევებს და მუდამ ხელის მოსათბობს ეძებს. მსოფლიო ომში იფექტა, მთავარი იმპერიალისტურ-პოლიცური სახელმწიფოები დაინგრენ და ამთ გზა გაეხსნა სოციალისტურ ნაციონალურ პოლიტიკას. ვილსონმა მთელი თავისი სახელმოვანი დეკლარაციაში ამ პოლიტიკაზე აგვა. ერთა თვითგამორკვევის უფლება სახელმწიფო უფლებათ გამოაცხადა. დაარსდა მთელი რიგი ნაციონალური სახელმწიფოებისა. მარა ვინაიდან ბურჯაზიული იმპერიალიზმი არ მომკვდარა, ის დაბეჭულობისაგან ჩქარა გაზიდა და ძალა მოიკრიბა, ხოლო მეორე მხრით აღრიძინდა მეფური იმპერიალიზმის აღავსა ბოლშევიკური იმპერიალიზმი, ამიტომ ერთა თანასწორობის პრინციპი სავსებით ვერ გატარდა ვერც ევროპაში, ვერც აზიაში და აფრიკაში. მოსკოვმა დაიწყო ძველი იმპერიის აღდგენა, ევროპამ გამოსჭრა ნაციონალური ერთეულები არა ნაციონალური მოსახლეობისა, არამედ «პოლიტიკური წინასწორობის» მიხედვით და მით შექმნა მრავალი ახალი კერა ნაციონალური შულლისა). ერთი კი აშკარაა—«სფეროებისა პოლიტიკა გაკოტრდა, დასაცლეთში ის დასამარდა. იმპერიალიზმი უფრო მორცე სახეს დებულობს. სამაგიეროთ ამ გაკოტრებულ პრინციპს მოსკოვი ჩაებლაუჭა და ის თავისათ გამოიტანა. ჩიხერინმა ეს აშკარათ აღიარა და მით საქართველოს დაყრობას ფარდა ახადა. მან ცაჭის უკანასკნელ სესიაზე თფილისში წარმოსთვევ შემდეგი:

«ბათომიდან ინგლისელების წასვლის შემდეგ ლოიდ ჯორჯმა განუცხადა ამხ. კრასინს, რომ ინგლისის არ ჩაერევა საბჭოთა რესპუბლიკისა და კავკასიის ურთიერთ დამოკიდებულებაში და რომ იგი კავკასიას უკერის როგორც საბჭოთა რესპუბლიკის გავლენის სფეროს» («კომ», 5 მარტი 1925 წ.).

ე. ი. ლოიდ ჯორჯმა ნება დართო ჩიხერინს საქართველო თავის «გავლენის სფეროში» მოქეცია, რაიცა გამოიხატა მის ანგეჭიაში. აქ მოხდა ბოლშევიკური და ბურჯაზიული იმპერიალიზმის შექმულობა თავისუფალი ერის წინააღმდეგ. მარქსი ითხოვდა კავკასიის განთავისუფლებას რუსეთისაგან, ლოიდ ჯორჯი კი, პირიქით, მას უტოვებს რუსეთს, ხოლო ჩიხერინი ემყარება არა მარქსს, არამედ ლოიდ ჯორჯს, ის სცნობს არა ნაციათა თანასწორობას, არამედ მათ ანგეჭიას!

ბოლშევიზმი ნაციონალურ საკითხშიაც, ისე როგორც პოლიტიკურში და კონომიურში, სავსებით გამოიყო სოციალიზმს და აშკარათ აატრიალა იმპერიალისტური დროში. ის მართალია ყველის ერის თავისუფლებაზე, მარა იმ ერის, რომელიც მის ხელში არ არის და მას ვერსაიდან ვერ უდგება. აქაც მას აინტერესებს არა ერის სვე-ბედი, არამედ წაქევეა მისი კონკურენტის, მისი მოწინააღმდეგ იმპერიალისტური სახელმწიფოსი. ეს არის აღდგენა პრიმიტიული იმპერიალიზმის. მოსკოვი ექანება სულ უკან-

\* ვერსალის ზავით ნაციონალურ უმცირესობათ უნდა მიეცეს გარანტია თავისი კულტურის განვითარებისა.

უკან, გასული საუკუნის მესამოცე წლების საერთაშორისო ინტრიგის და შუღლის პოლიტიკისაკენ.

ამგარათ, სოციალისტურ ნაციონალურ პოლიტიკამ საკმაოთ შეანგრია იმპერიალიზმის კედელი, მარა საესპიციალისტი ის ვერ დალეჭა. მისი მტერია ამგარათ ბოლშევკიზმი, მორცხვათ ბურჯუაზია. მარა ამ უკანასკნელს ებრძეის ყველა ფეხის ნაიჯებე გამძლავრებული სოც. ინტერნაციონალი და არ ანებებს თავის პოლიტიკის პირდაპირ გატარებას. ეკრობა დღეს იმყოფება სოციალიზმის მძლავრ გავლენის ქვეშ. ეს გავლენა არ არის მხოლოდ საჭირო ჰეყანაში, იქ პოზიცია ჩაილულია, ავანტიურისტთა ვიწრო წრე გაბატონებულია. საიდუმლო დიპლომატია, შეტქმულობა, ძალმომზრეობა ამ ბატონების მთავარი ფარხმალია. მთელი მათი საგარეო მოქმედება წყვდიადით მოცული და ყოველივე პასუხისმგებლობას მოკლებულია.

თუ მარქს ადამიანთა თანასწორობის პრინციპიდან გამოყავს ერთა თანასწორობა, ბოლშევკიზმის პირიქით ადამიანთა უთანასწორობისაგან გამოყავს ერთა უთანასწორობა. დემოკრატიის ძირითადი დებულების უარისყოფა თავისთვავთ გულისხმობს ერის უფლების უარისყოფასაც. ნაციის თვითგამორკვევის მთავარი მტერი მოსკოვში ზის.

დღეს მსოფლიოში იბრძეის ორი პოლიტიკური ძალა უფროსობისათვის. ერთი მხრით დგას სოციალისტური ინტერნაციონალი და მუშათა საერთაშორისო სინდიკალური ორგანიზაცია, მეორე მხრით ბურჯუაზია, ბოლშევკიზმი და მათი მოკავშირე ძევალი და ახალი ბატონები. ეს მათი სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობას ნაციონალურ სფეროში ნიშნავს წინააღმდეგობას იმპერიალიზმის და ერის თვითგამორკვევის შორის. იმპერიალიზმი დამარცხდა, ვარა გატეხილი არ არის; ერის თვითგამორკვევა გაიმარჯვა, მარა გაბატონებული არ არის. ქართველი ერის თვითგამორკვევა მოხვდა ამ კალაპოტში და განიცადა მისი ბერი—გამარჯვება და დამარცხება. ის დგას ნაციონალურ კვანძის ცენტრში და როგორც კი ეს კვანძი ისევ დაიწყებს დახსნას—იქიდან პირველ ყოვლისა საქართველო უნდა გამოიიდეს თავისუფალი და ალდგენილი.

ნ. ე.

### ერთვნელი მოძრაობა და სიციალური იდეალი.

ქართველი ხალხის ეროვნული ბრძოლა მის სოციალურ იდეალისთვის ბრძოლასთან გაერთიანებულია. ეს ერთობა განსაკუთრებით ნათლათ გამოიხატა იმ პირობების გამო, რომელშიაც წარმოიშვა ჩემენი ეროვნული დამოუკიდებლობა: რუსეთში დემოკრატიის დამარცხება, სამოქალაქო ომი და ბოლშევკურ ტირანიის გაბატონება. გახდა მიხეში და დასაწყისი ჩემენი ხალხის ეროვნულ პოლიტიკის ძირითადი შეცვლისა. დამოუკიდებლობის დროშა მან აღმართა იმავ სოციალურ იდეალების განსახორციელებლა, რომლისთვისაც წინა ის რუსეთის საერთო სახლვრებში იბრძოდა.

ქართულ ეროვნულ მოძრაობის ასეთი ხასიათი ჩემენის ნაციონალისტებს მის სისუსტეთ მიაჩნია და დღეს სწარმოებს ქადაგი მოძრაობის ახალ, აშშინდა ეროვნულ კალაპოტში ჩაყენებისა, მისაგან სოციალურ ელემენტის მოშორებისა.

მაგრამ არის კი ეს შესაძლებელი?

თანამედროვე ერთა წარმოშობის და კანვითარების ისტორია გვაჩვენებს, რომ ეროვნული ბრძოლა ყოველგან სოციალურ იდეალისთვის ბრძოლასთან შეერთებულია. საფრანგეთის რევოლუცია, გერმანიის 48 წლის ხანა, იტალიის გაერთიანება—ყველა ეს, თანამედროვე ერთა შემქნელი, მოძრაობა აღნიშვნულია ასეთ ერთობით: აქ ეროვნულ ბრძოლა და ბრძოლა ახალ სოციალურ ურთიერთობისთვის ერთმანეთში გადადის და ერთმანეთს ფარავს. ხალხთა ცხოველების თვით დღვენდელ, იმპერიალისტურ ხასიაც ეროვნულ და სოციალურ მომენტების ერთმანეთისაგან განშორება შეუძლებელია. აიდეთ ისეთი მოვლენა, როგორიც არის უკანასკნელი მსოფლიო ომი, იმპერიალისტურ შეჯავების კლასების მგალითი. აქ თითქო ერთა მეტოქეობის მეტი არაფერი ძალა მოქმედობდა. მაგრამ ნამდვილათ ამ შეტაკებასაც ლრმა სოციალური შინაარსი თან ახლდა. ამ მის იმპერიალისტურ ხასიათის შეურიგებელ მხილებელს, ოტტო ბაუერს, კვაუთმის იმავ დროს მისი სოციალური შინაარსის საჟერეთესო დახასიათება: “დასავლეთ სახელმწიფოთა გამარჯვება ცენტრალურ ეკროპის სახელმწი-



ფოებშე—სწერს ის თავის შესანიშნავ შრომაში «აესტრიის რევოლუცია»—იყობრივი კრიტიკა ჯვება ბურუუზიულ დემოკრატიისა ოლიგარქიულ მილიტარისტულ მოხარეებშე. ეს იყო მსოფლიო ისტორიის ყველაზე დიდი და ყველაზე სისხლიანი ბურუუზიული რევოლუცია».

ასე, ყოველგან და ყოველთვის, ერის ბრძოლა გამოხატავს მისგან დასახულ ან მასში განხორციელებულ სოციალურ იდეალისთვის ბრძოლას.

ვინაც ქართველ ხალხს ურჩეს—შენ უნდა აწარმოვა ეროვნული ბრძოლა, გან-შორებულ კვეველ სოციალურ შინაარსს, —ის ან არ იცნობს თანამდებროვე ეროვნულ კითხების კანონებს, ან მისი სიტყვა მის აზრს ნათლა არ ხატავს. და მართლაც, „წმინდა“ ეროვნულ მოძრაობის ქადაგებელთა აზრს კარგათ რომ ჩაუკაირდოთ, და-ინახავთ, რომ ისინი ებრძეინ მოძრაობის არა ყოველ სოციალურ შინაარსს, არამედ იმ ერთ განსაკუთრებულს, რომლის ღრმობის ქვეშ დღის ქართველი ხალხი, ე. ი. სოციალისტურს. მათგან წამოყენებული მოთხოვნა ნიშნავს ქართულ ეროვნულ მოძრაობიდან სოციალისტმის განდევნას—სხვა, არა სოციალისტურ იდეალების შესა-თვისებლათ. და კითხვა სწარეთ იძულია, რამდენათ შესაძლებელია და რამდენათ შე-ეფერება საქართველოს ინტერესებს ასეთი ცვლილება.

შემთხვევა არ იყო, რომ ქართველი ხალხი, მის პილიტიკურ გამოღვიძების დღი-დაწვე სოციალისტს მიეჩხო. ჩვენი ერის ცხრა მეთემდე მშრომელია. ბურუუზია ჩვენში იმ თავითვე სუსტი იყო, ხოლო ქალაქის პროლეტარიატი, უცხო კაპიტალით შექმნილი, ადრე მომაგრდა და პოლიტიკურათ შეკავშირდა. ამ კლასის გავლენა გადა-ვიდა ჩვენს ნახევრათ გაპროლეტარებულ გლეხობაზე. დემოკრატიულ სოციალისტმის იდეალი და პოლიტიკა, ეროვნის მუშათა კლასის მოძრაობით შექმნილი, ჩვენშიდაც მშრომელთა კლასის ბურგებასთან შეფერებული გამოდგა და ოცდათი წლის გამოც-დილებით გამართლდა, ეს მიმართულება, ეს პოლცესი ბუნებრივი იყო. არაჟეულებ-რივი იყო მხოლოდ ის სისწარავე, ომძლითაც ჩვენს ქვეყანაში, მიუწერდვათ მის შედა-რებით ამორჩენილ კუნძულიურ პირობებისა, სოციალისტურ მოძრაობა მთელ მშრო-მელ ხალხს მოედო. აქ, ეკვს გარეშე, გადამჭრელი როლი ითამაში იმ გარემოებამ, რომ მშრომელთა სოციალურ ინსტრუქტუს ზედ დაერთო ჩატარულ პატარა ერის ინს-ტინქტი—და არივ ერთ მიმართულებით მიექცედება. სოციალისტმი ჩვენი ხალხი გრძნობდა იმ ხალხს, რომელიც მას ყოველგვარ ჩაგვრისავის განთავისუფლების გზას უკავდება. მართალია, ჩვენი ხალხი ეროვნულ მოთხოვნილებებს ამ პკოტდა სხვა თ-ვის საერთო დემოკრატიულ მოთხოვნილებებიდან, ის ასეთ გამოყოფას მავნებლათაც სთვლიდა, სანამ რუსეთის ხალხთა საერთო წრეში უცხებობა ბრძოლა. მაგრამ—დაქს ეს ბრძისტვისაც ცხადია, —ეს იყო შედეგი არა ეროვნულ გრძნობის უქონლობის ან უკუდების. ჩვენი ხალხი გრძნობდა, რომ დემოკრატიულ სოციალისტმის ტრომის ქვეშ ბრძოლით, ამ ბრძოლაში რუსეთის და მსოფლიო დემოკრატიისთვის გაერთიანებით— ის მკიდრ საფუძველს უდებდა არა მარტო თავის სოციალურ, არამედ ეროვნულ ალორძინებასაც. კობრინელულათ ბეკრი მისი მოლოდინი არ გამართლდა, ისტორიულ-მა ქარიშხალმა ის სრულებით ახალ პირობებში ჩააყენა. მაგრამ რამდენათ მართალი გამოდგა მისი ძირითადი ჩრდება, რომ სოციალურ განთავისუფლებისთვის ბრძოლა არის იმავე დროს ეროვნულ აღარძინების მხარება—ეს დამტკიცა ჩვენი ხალხის ცხო-ვრების გადამწყვეტა წამებდა.

მე არ ვეძები ქართველ ხალხის ხელმძღვანელთა და მმართველთა მოქმედებას— სახეში მყავს თვით ხალხი, მის სულიერი სიმაგრე და მომხადება იმ წამს, როდესაც მისი დამოუკიდებელი ეროვნული ასებობის შექმნა გახდა საჭირო. სოციალურ გან-თავისუფლებისთვის ბრძოლაში გაწვრთნილმა ხალხმა განა საკუთარ სახელმწიფოს შე-საქმნელათ იმ ხარისხის აღფრთოვანება, მომხადება და ორგანიზაციის უნარი არ გა-მოიჩინა, რომელიც ერთა ცხოვრებში სასწაულს ჰქმნის და უკანასკნელ თხზი წლის განმავლობაშიაც განა ჩვენმა ერმა არ მოიქმიდა ნაყოფი მის მშრომელ ხალხის სოცია-ლურ გაწვრთნის და გამოცდილების? ვინც ამობს, სოციალისტურ იდეალის ეროვ-ნულ მოძრაობაში შეტანა ამ უკანასკნელს ასუსტებს, ეს იგივე ბოლშევიზმიანი—მის-თვის საუკეთესო პასუხს დღევანდელი სექართველ წინმთადგენს. სწორეთ იმიტომ, რომ აქ მთელი მშრომელი ხალხის შეგნებაში ერის დემოკრატიულ ვითარების და სო-ციალურ განთავისუფლების იდეალები განუყრელათ შეკავშირებული აღმოჩნდა, აქ

ბოლშევიზმი გადატყდა ხალხის ისეთ მწყობრ, ერთსულოვან და შეურიგებელი მომდევნობას, რომლის მსგავსი საბჭოთა რუსეთისაგან დაპყრობილ არც ერთ ტერიტორიიაზე არ წარმოადგულა.

ეს იყო დღემდის ნიშნობლივი თვისება ჩვენი ხალხის მოძრაობის და ამით მიიპყრო საქართველოს ბრძოლამ განსაკუთრებული ყურადღება ევროპაშიაც. არ მინდა სინამდვილეს გადავამეტო და ეს ყურადღება უფრო დიდათ დავსხო, ვიდრე არის. ის, რასაც „რეალურ დახმარებას“ უწოდებენ, ჩვენთვისაც იმდენთა ნაკადი აღმოჩნდა, როგორ სხვა, მსგავს პირობებში მომზადა, ერგიბისთვის. მაგრამ მორალურ პოლიტიკური გამოძახილი საქართველოს ბრძოლამ გაცილებით მეტი გამოიწვია, —საქართველოს დაპყრობა მოსკოვის მთავრობას განსაკუთრებით ძვირათ დაუჯდა.

ჩვენში არსებობდა მოლოდინი: ჩვენი ხალხი დახმარებას იმით მოიცოდებს, რომ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე საერთო ყურადღებას მიიზიდასო. ასეთი ხსნის გზა ბევრს უფრო რეალურათ მიაჩნდა, ვიდრე მსოფლიო დემოკრატიის მოძრაობასთან. კავშირი, რა თქმა უნდა — რომ საქართველოს მფრებარეობა სხვაგვარი ყოფილყო, რომ ის ევროპის სახელმწიფოებისთვისაც იმდენთა ხელმისაწვდომი გამომდგარიყო, როგორც მოსკოვისთვის, მის კარშემო აღმართ მწვავე პოლიტიკური მეტოქეობა ატყდებოდა. რას მოუტანდა ეს მეტოქეობა ჩვენს ხალხს და რით დაბოლოვდებოდა, ეს ღმერთმა იცის. ამის გარჩევას ჩვენ აქ არ გამოვუდგებით, ვინაიდან ფაქტიურათ საქმეშ სხვაგვარი მსვლელობა მიიღო: ჩვენმა ბუნებრივიცა სიმდიდრე მიიზიდა, მართალია, არა მარტო მოსკოვის მთავრობის, არამედ ევროპა-ამერიკის კაპიტალის ყურადღებაც. მაგრამ უკანასკნელის ქცევამ დაგვანახა, რომ მისთვისაც ქვეყნის ბუნების ექსპლოატაციის სურვილი თავისდათავათ სრულებით შეკავშირებული არ არის ამ ქვეყანაში მცხოვრებ ერის სურვილების ცნობასთან. დაპყრობილის ბედისთვის თავის მტერევას მან დამცყრობელთან შეთანხმება ამჯობინა.

და თუ მაინც საქართველოს საკითხი საერთაშორისო საკითხთ დარჩა, თუ საზოგადო აზრი იმის გარშემო ამჟავედა, აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა სოციალისტურმა დემოკრატიამ, იმ ერთათ ერთობა მსოფლიო ძალამ, რომელიც ჩაგრულ ერთა საქმეს პრინციპიალურათ თანაუგრძნობს და თავისით აღიარებს. საქართველოს ხალხის ბრძოლამ მისა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მის საკუთარ მოძრაობებთან ნათესავით, ეროვნულ და სოციალურ განთავისუფლების იდეალის გაერთიანებით. მთაცილეთ ჩვენს ეროვნულ საქმეს ნაყოფა ამ თანაგრძნობისა, — გნა ევროპის საზოგადო აზრის წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი იღებოდა?

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ირ. წერეთელი.

### მარქსი გვასწავლის, რომ ეკონომიკური სტრუქტურა საზოგადოების არის საფუძველი, რომელზედაც აშენებულია მისი (საზოგადოების) პოლიტიკური, სარწმუნოებრივი და სხვა იდეოლოგია. იცვლება საფუძველი, იცვლება ზედნაშენიც. საზოგადოება ველარ გადავა განვითარების გზიდან, რომელსაც ის უკვე დაადგა და ეკრუ გადაახტება მის საფეხურებს. საზოგადოებას შეუძლია მხოლოდ შეიმსუბუქოს ამ გარდუალი გზით სიარული. კაპიტალი ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც ასებობს დაცვენდელ წრიმოებაში, არის წარმავალი. ბურჯუაზიულ საზოგადოების ცხოვრებაში ტენიციის განვითარების და წარმოების საშუალებათა კონცენტრაციის გამო დეგება გამა კერძო საკუთრების საფუძველზე აგებული წესწყობილების გაუქმების და მის მაგიერ სოციალისტური საზოგადოების დამყარების. ხდება ექსპრობრიატორთა ექსპრობრიაცია.

ლეინმა, რასაკვირველია, ძლიერ კარგათ იცოდა ყოველივე ეს და, მოექცა რა სათავეში რუსეთს, დაუყონებლივ შეუდგა მთელს ჩვენს პლანეტაზე მარქსიზმის განხორციელებას.

ზოგს პრონია, რომ ლეინმა მარქსიზმს უდალატა და მით სოციალისმის იდეა შეარყია; ზოგი ამ იდეის გაყოტრებაზეც კი ლაპარაკობს. სწორეთ საკირველია ასეთი აზრი. და მართლაც, ვთქვათ, რომ ლენინი და მისი მოციქულები მარქსის მაგიერ კუ-

ლაქებს» და პირველდაწყებითი დაგროვების რაინდებს ამოუღენ გვერდში და მათი იდეოლოგი გახდნ, შერე რა შუაშია აქ სოციალიზმი? მეგობრობის იდეა ოდნავადაც არ შერყეულა იუდის კონით და არც ერთი დიდი იდეა არასოდეს არ გაკოტრებულა; პირიქით, ის მუდმ იზრდება, ცხოველმყოფელობს და ცოცხლობს საჟუნონ. ირყევიან, იძნევიან და კოტრებიან დიდი იდეის უკულმრთ მოციქულები. ეს კუშმროტება განსაკუთრებით უნდა ახსოვდეთ იმათ, კინც გუშინ ისანას უგალობდა სოციალიზმს და დღეს, როცა ახეთ წარსულს იგონებს გაკვირვების და თანაც ირონისა კილოთი ხმობს: ვინ ცყოფილვართ, სად ცყოფილვართ, რას ცმვებოდით, რას ცმახახავდით! კუშმარიტად მიღლოცის ღირსნი არიან ეს ჩვენი დროის კოლუმბები, რომლებმაც, თუ ახალი ამერიკა არა, თვისი თავი მაინც მონახეს და აღმოაჩინეს. ღირსნი არიან იმიტომ, რომ ასეთი აღმოჩენით თვით ისინიც მოგებული არიან და სოციალიზმიც არ არის წაგებაში. და რომ ეს დარბაისელი მოქალაქენი ნამეტუნვათ შექარხოშებული არ იყენებ თავისი აღმოჩენით, ადვილად დაინახავდნ, რომ არასოდეს სოციალიზმის საკითხი ისე აქტუალური არ ყოფილა, როგორც არის დღეს და არასოდეს კაცობრიობას ან განუცდია მისი აუცილებლობა, როგორც განიცდია ამ ხანათ.

დიახ, მე ის უნდა მეთქა, რომ ლენინი სრულიად პირნათლით სდგას მარქსის წინაშე: მას აქ არც ნახტომი გაუკეთებია, არც გზა დაბნევია; მან ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კეკრცხა არჩია მხოლოდ და საქმე ბოლოდან დაიწყო: ექსპროპრიაციით. უნდა ვთქავთ, რომ აქ ლენინმა მარქსიზმ მეტი გამჭრიახობა გამოიჩინა. და მართლაც, რას გულისხმობს მარქსიზმი? ტეხნიკის განვითარებას, საწარმოვო ძალების ზრდას, შრომის განაწილებას. და ინტენსიფიკაციას, კონკურენციას, ვაჭრობას, პოლიტიკურ და კონომიურ კრიზისებს, კლასთა ბრძოლას, პიროვნების და მოქალაქის თავისუფლებას, ერთა თვითგამორკვევას (თანამედროვე კონომიკა მოითხოვს თავისუფალ ერთა ასოციაციას), სხვა და სხვა ხელოვნების აყვავებას, სიმდიდრის დაგროვებას, ერთი სიტყვით, კაცის შემოქმედების უმაღლესათ განვითარებას. და ყოველივე ამის შემდეგ... ექსპროპრიაციის, და ისიც ვისთვის და რისთვის? არა შეთვის და ჩემთვები, მკითხველი, არამეტ მთელი კაცობრიობისთვის, მთელი საზოგადოებისთვის, ყველა კლასებისთვის, განურჩევათ ეროვნებისა, კლასისა, სექსისა, ასკეისა! დამეტანებებით, რომ ეს ნამდვილი უსაქმრო, მოცლილი და არა სერიოზული კაცის საქმეა (ეს, რასაკვრეველია, ჩვენ შორის ითქვას).

ექსპროპრიაცია კი დღესვე და არა აღდესლაც,—ეს მართლაც საქმეა, საქმე ნალიდი და «ურისკო». ყოველ შემთხვევაში ეს უფრო მოგებიანია, ვინებ ბებიაობა, რომელმაც მარქსის აზრით საზოგადოებას უნდა შეუმსუბუქოს ტკივილები (ახირებული სანტი-მენტალობაა, აბა რა არის?). აქ არც ნახტომია, გზაც მოკლეა.

მაგრამ თავი და თავი ეს როდით: ვინ არ ახდენს ჩვენს ახირებულ დროში ექსპროპრიაციას! უმაგრესი და უმნიშვნელოვანესი აქ ის არის, რომ ლენინმა ექსპროპრიაციას პრემანენტული, მუდმივი, საჟუნონ და შეუწყვეტელი პროცესის ხსიათი მისცა და მით უდიდესათ და უბრწყინვალესათ გააბრწყინა ის კუშმარიტება, რომ შესაფერ მომეტტმ რაოდენობა თვისებათ იქცევა ხოლმე: ლენინის მეოხებით ექსპროპრიაციის რაოდენობა იმდენათ გაიზარდა და განვითარდა, რომ ძარცვათ იქცა! ასეთ ეკონომიურ სტრუქტურის ჩიდაგებე, რასაკვირეველია, ღაუყონებლივ აღმოცხვდა შესაფერი იდეოლოგია, რომელიც შეიძლება ამ რაზი დებულებით გამოითქვას: ა) პკარ, მოკალ, შეპარ, შეიძარ, ბ) ნადავლით იდეისასწაულე.

ახლა თქვენ მიბრძანეთ: რამდენათ უვიცი უნდა იყოს კაცი მარქსიზმის, რომ ლენინისტებს ამის შემდეგ უსაკვედუროს, რატომ სხვა და სხვა, ფერად-ფერად (სიტყვის, კრების და სხვა) თავისუფლებებს არ ახორციელებო! საკვირველი პრეტენზია და ბოლშევიკებს სრულ რეანონი აქვთ, როცა ამბობენ, რომ ასეთი რამეების შემოღება ლენინიზმის უარყოფა და დაუჭერა იქნებოდათ. ლენინიზმის ძარცვიზმათ გარდაქმნას მოჰყევა დღიურებიური მეთოდის შევსება: მასში შეტანილ იქნა დაკვრითი მომენტი, რითაც ლენინმა იმას მიაწინა, რომ ერთი დაკვრით არი კომუნისტური კურდელი დანარჩენა: რუსეთი და დიტატურა!

რით ასხსნება, რომ მარქსმა ერთი ბაჭიაც ვერ დაიჭირა და ილიიჩმა კი რაზი კორორ გაქახა?

მით, რომ მარქსი ეკროპაში იყო, ლენინი აზიაში:

მით, რომ მარქსი ჩვენი დროის კაცია; ასეთი კაცი კი ნადირობას აღარ მისდევს; მას დავიწყებული ქვებ ეს ხელმა: ის განვითარებული წარმოების გზაზეა დამდგარი და რთულ იარაღს ხმარობს. ლენინი კი არსებითად მონაცირება (სიტყვით ვარჯეს სჯობია), მონაცირების ეპოქას უფრო კუთვნის. დღევანდველი ტეხნიკიდან მან შეითვისა მხოლოდ თავუჩარბაზნის ხმარება. თანამედროვე წარმოებისათვის საჭირო ტეხნიკა მას ისე რგებს, როგორც კრილოვის მაიმუნს სათვალე. მას ეგარჯვება სროლა, მოკველა და იქვე შექმა ნანაცირევის (ცხელი სისხლი მეტად უყვარს). ის მომავალზე ბევრს გაპირის და თუთიყუშივით კომუნიზმი, კომუნიზმი, იმერობებს, მაგრამ როგორც პრიზიტიული კაცი, ის მხოლოდ მიმდინარე წუთით ცხოვრობს. აი რაშია მარქსის სისუსტე და ლენინის ძღვანმოსილობა!

ასეთი თვისებები და მიღრებილებები ლენინს გადმოეცა არეგოვე მეორე ეპო-  
ქიდან: «ტატარშინის» და მისი გაგრძელების ცარიზმის დროიდან. ორივე აღნიშნულ  
რეების წყაროს უმთავრესად შეგნივ თუ გარეთ ნაძარცვადა ული შეადგენდა, მაგრამ  
უმაღლეს საფინანსომდე ასეთმა კეონომიურმა სტრუქტურამ მხოლოდ დღეს, ბოლშე-  
ვიკების წყალობით და მეორებით მიაღწია. ამით აისხენდა, რასაცვირველია, რომ ამ კეო-  
ნომიერის განვითარების კანონი იმავ ლენინისტებმა აღმოაჩინეს.

ეს კანონი ასე ხმობს: როცა ძარცვის ინტენსიუტიკაცია მატულობს, მისი შესაძლებლობა კლებულობს. როგორც მოგეხსენებათ, არც ერთი სხვა დარგი წარმოების აზ ექვემდებარება ამ კანონს. რასაკვირველია, ეს წინააღმდეგობა წინეთა ც მოქმედებდა, მაგრამ მისი აღმოჩენა მარტო ლენინს და მის შტაბს კუთვნის. ამ წინააღმდეგობაში დალუპა ყეიობა, უფსკრულში გადაჩეხა ცარიშმი და ახლა ლენინისტების კარგებები აკაციუნების. ამით შეშფოთებული «კომუნისტები» ახლა პირს იბრუნებენ ხოლმე ხან „კულაციების“, ხან „სრედნიაკების“, ხან „ბოსიაკების“, ხან სპეცუალიანტების, ხან პროლეტარების, ხან სოფლისა და ხან ქალაქისაკენ (მარჯვენა-მარტხენა სადა არა გვერდით) და კულტურას ემუფადებინა —გამდიდრდით თკევნი ჭირიმეთ და კარგვააც შევმიან: როგორც კოცელ წარმოებას, ძარცვასაც მასახა კირივებდა. მაგრამ ბელა ის არის, რომ ლენინისტებმა აღმარჩინეს მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კანონა: რამდენათაც მატულობს ზანსები ხალხის აღმდინების და გამდიდრების, იმდენათ კლებულობს ლენინისტების ასებობის შესაძლებლობა. ასეთი ლენინის კონკრეტული ტიკა. ლენინიშმა სპობის კონკრეტული, რომელზედაც ის არის აღმოცენებული. მას (როგორც ცარიშმა) ხალხის სიღატრეკ (სულიერად და ნივთიერად) ნელნელა მაგრამ შეუჩირებლათ უთხროს საფუძველს; ხალხის ბერნიერება და აღმოჩნდება კი დაუყოვნებლივ სწრაფად სპობს მას. ის კერ გადასცილდება ამ გზას, კერც გადაახტება მას. ის ამ გზით უნდა დაილუპოს. არის თუ არა კოველივე ეს ნათევამი მარქსიზმი? დიახ, არის რასაკვირველია.

კი, მაგრამ მარქსის დროს რომ არ ყოფილა ლენინიზმი? როგორ არ ყოფილა, ყოფილა: ის არ ახალია, ძველია. თქვენ გახსოვთ, რომ წინეთ რუსეთიდან შეზობელ ქვეყნებში შექმნდათ (ხიშტებით) პუმანიზმის, ქრისტიანობის და კაცთა შორის სათნავების სახელით ცარიზმი. დღეს კი შემოაქვთ ლენინიზმი მარქსიზმის წარწერით. თანამედროვე ქნობინებებს, ტორმასოვებს და ციციანოვებს ეგონათ. რომ ცეცხლით და მახვილით შეათვისებიერდენ ქართველ ხალხს. რომ ლენინიზმი ხალასი მარქსიზმია. მაგრამ ჩენ ვიცით. რომ მაბქსიზმი ლენინიზმის საწამლავია. მით გვიმარჯვებთ.

ბოლშევიკები ხართამორის რაცენის ხამხან ურმა.

ამ სისარულში, რა თქმა უნდა, იყო ფსიქოლოგიური მომენტი—კვაყოფილების გრძნობა, მათი მოსისხლე მტრის—დემორატიის დაძრუცებით გამოწვეული. მაგრამ აյ იყო პოლიტიკური ანგარიში—იმედი, რომ ბოლშევიზმის საშუალებით და ბოლშევიზმთან ერთად მოკლე ხანში წარიხოცხოდა ყოველივე მონაპოვარი 1917 წლის

რევოლუციისა. რუსის მონარქის ტები შეცდეს დროის ანგარიშში, მაგრამ მათი საერთო დავასება სრულდა დამტკიცებული გამოლენა.

ჩეცნოვის თავიდანვე აშკარა იყო ბოლშევიკმა რეაქციონური სული და ამიტომ ქართველი ერი იმ თავითვე ჩამოშორდა ამ რეაქციას და საკუთარი გზა აირჩია ერთვ-ნული და სოციალური აღორძინების.

სამწუხაროდ, ეკროპის მოწინავე წრებისათვის უფრო ძნელი გახდა კომუნიზმის ნამდვილი სახის გამოცნობა. საჭირო დარჩა მათ ცოცხალი მაგალითებით თავის ზურ-გზე განეცადათ კომუნიზმის დამტკიცევი მუშაობის შედეგები, რომ ის შესაფერისად დაეფასებიათ. ბოლშევიზმა დაქსაქსა და დააუძლურა ეკროპის მუშათა მოძრაობა, დიდი ზიანი მიაყენა დემოკრატიის და სოციალიზმის იდეას, მან გაუკავა ვზა ფაშიზმს—აი ფაქტები, რომლებმაც დააღწმუნა ეკროპის დემოკრატია ბროლშევიზმის რეაქციონურ ხასიათში.

საქართველოს დამყრობამაც, თავის მხრივ, არა უკანასკნელი როლი ითამაშა ბოლშევიზმის ნიღაბს ახდაში. ძეირად დაუჯდა კრემლის დიქტატორთ ქართველი ერის თავისუფლების უქმებები გათვალისწინებული დაინახა პირველად ევროპის დემოკრატიამ ბოლშევიზმის სახე მთელი მისი სიმახინჯით. მისოფლის აქარა შეიქმნა, რომ დემოკრატიასთან საერთო არათერი აქვთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამყრობა. რომ ეს უკანასკნელი დემოკრატიის და მისი პრინციპების მოსისხლე მტრებია. მართლაც, თვით ევროპაშიც, სადაც და რასაც არ მიყეარა ბოლშევიზმის დასვრილი ხელი, ყველან ამას მოყვა მუშათა კლასის რევენა და მისი დამარტინება და აქედან წამომდგარი საერთო რეაქცია.

აი ამის რამდენიმე კოკხალი მაგალითი.

გაიკლის წლები, სანამ უნგრეთის დემოკრატია მოინდებს იმ საშინელ უბედულებას, რომელიც მას თავზე დაატეხა ბელაკუნის ავანტიურამ. აღმირალი ხორტი და მისი მთავრობა ბუნებრივი შედეგია ამ ავანტიურის. თვით ბელაკუნმა თავს უშველა და როგორც ვიცით, იგი ახლა საბჭოთა რუსეთში ამერიკების თავის მოღვაწეობით რუს მუშებსა და გლეხებს, უნგრელი მუშა კი გმინავს და ოხრავს რკინის ულიის ქვეშ. ჩვენთვის არც აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა მოტივებით ჩაიდინა მისმა ავტორებმა ეს დანაშაული. მაგრამ „მოტივები ქრებიან, ფაქტები რჩებიან“. ფაქტი კი ის არის, რომ ეს ულელი გაჭედა მოსკოვის რეგპრტით—მუშათა კლასში განხეთქილების შერანით და დემოკრატიული თრონის დარღვევით.

სწორეთ ასევე გავარიაში კომუნისტების ხანმოკლე თარეშს მოყვა მონარქისტული რეაქციის გაბრუნება, რომელიც დღემდე მთავარი წყარო და დასაყრდნობი ძალაა მთელი გერმანიის რეაქციის.

ენერგია და კიდევ მეტი ფული. ულტრანაციონალისტებთან და მოხარქისტებთან ფარული თუ პჰარა კაშირი, მათთან ერთად თავასხმა რესპუბლიკაზე, — ეს ხდებოდა განსაციფრებელი ცინისმით. ბოლოს კი მთელი ეს კამპანია დაგვირგვინა პინდებურგის პრეზიდენტათ არჩევით, კომუნისტების მეოხებით. რომ კომუნისტები არა, რომელთაც რესპუბლიკანურ კანდიდატს მარჯს ჩამოართვეს ორ მილიონაშვერ ხმა, პინდებურგი ცხრასიათასი ხმის უმეტესობით ვერასაუდეს ებერტის მოაღილეობით ვერ გახდებოდა. რა აქეს საერთო სოციალიზმთან, დემოკრატიასთან კომუნისტების ასეთ შესაბამის? რომელ რევოლუციონურ ფრანგელოგიას შეუძლია გააძათილოს ისეთი მჟერმეტყველური ფაქტი, როგორიც არის რესპუბლიკანურ კანდიდატის დამარცხება მონარქისტულის სასარგებლოთ.

ასეთივე ბოლშევიკების როლი საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგან. ამას ებრძვის ეკონომის დემოკრატია, რომელმაც კარგა ხანია ბოლშევიკების ზურგი აქცია და თავისი რევოლუციისური გზით მიღის, ძალებს იკრებს, მაგრდება და ცხოვრების სათავეში მოქცევას იხსევ ცდილობს. ბოლშევიკების გავლენის თანდათან გაყორებამ შესაძლოთ პყო სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიების გამარჯვება საფრანგეთში, მუშათ პარტიის მთავრობაში შესვლა ინგლისში (მაკლონალტის მთავრობის დაცემა და კონსერვატიულ პარტიის ბრწყინვალუ გამარჯვებაც ხომ მოსკოვის მიერ ინგლისის შინაურ საქმეებში ცხვირის შეყოფით აისხნება), სოციალისტური მთავრობები დანიაში და შვეციაში. ყოველივე ეს ხდება კომუნისტების წინააღმდეგ მათი დამარცხების შედეგათ. და განა ამის შემდეგ საკუთა, თუ კი ემსახურება ბოლშევიკები? მილიარდი გირვანქა სტერლინგი რომ დაეხარჯა საერთოშორისო რეაქციას, იგი მეტ ვნებას ვერ მოუტანდა სოციალიზმს და მუშათა კრასს. სოციალიზმთან ბრძოლაში ყველაზე შეურიგებელი მტერნი ხატავდნ სოციალიზმს, როგორც განახანადგურებელ ძალას, რომელიც თვით არაფერ ქმნის, სხვის მიერ დაგროვებულ სიმღიდრეს ფლანგას, ანიავებს: სპოს კოველგადა თავისუფლებას, ჰკლავს თავისუფალ ინტერებას, ბორკას კერძო ინიციატივას, აზშაბს ინდიდუალურ ჩიტა და აზამიას მონათ აქციებს. ეს ბოროტი კარიკატურა სოციალიზმის: ბოლშევიკების ამ კარიკატურის demonstratio ad oculos მასახინა და შეჩერ რა საშინელი და მასინჯი სახით? ამ სიმაბინჯეს სოციალიზმათ ასალებს. რამდენი ტრა და ენერგია საჭირო, რომ ეს სიბინძურე წაირეცხოს!

“მაგრმა თავისი საქმე გააკეთა და მას ეხლა შეუძლია წავიდეს”, ასე ფიქრობს ეკონომის ბურჟუაზია. ხოლო თუ მაგრი გაძალიანდა (ის გაძალიანდება: მეტათა მიჩეული კეთილნებიერ ცხოვრებას), მას ძალით გაბარანტირებნ. ის განწირულია, ვერავითარი ძალა მას ვერ ისხნის. დადგება წამი (იგი დადგება უფრო ატრა, ვიდრე ამას სურვილითი ფიქრობს), როცა პასუხს მოსთხოვენ სისხლით დამტერალ ტირანებს ჩადენილ დანაშაულისათვის. პირველ რიგში ქართველი ერთ მოსთხოვს მას ანგარიშს. ბოლშევიკების დასაფლავებით საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგება მკვდრეობით.

ამ მომავალო.

### ჭიათურის შავი ქვის კანცენტო.

12 იუნისს მოსკოვის მთავრობამ ხელი მოაწერა პირობას, რომლის თანახმად ჭიათურის შავი ქვის წარმოება და ექსპლოატაცია, უწლის ვადით, სავსებით გადაეცა ამერიკულ ფირმას — ჰარიმანს და კომპ. ჯერ ჩერნამდის ამ მოულწევია საბჭოთა გაზეთებს, მაგრამ ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ საბჭოთა პრესაში ეს მოქმედება აღნიშნული იქნება, ბოლშევიკების ენით რომ ესთქვათ, როგორც დიდი გამარჯვება „საკონცენტრის ფრანგტუნე“.

ჩვენ დავუცდით ასეთ დაგამარჯვების» თაყვანისმცემელთა სახეობო სიტყვებს და მაშინ უფრო საფუძვლიანათ გავაცნობთ გყითხველს ამ აქტის ნამდვილ მიზენელობას. ახლა კი ალენიშვილ მხოლოდ, რომ მოსკოვის ხელისუფლების მიერ უცხოელების-თვის ჭიათურის შავი ქვის გადაცემა მართლაც დიდი გამარჯვება... ოკუპაციების ქართველ ერთე და მის ინტერესებზე.

წელიწადებზე მეტია, რაც პარიმანის და ბოლშევიკების წარმომადგენელთა ჭირის სწარმოებდა. მ. ლოპარაკევია: ამის დაბოლოება შედეგია ბალშევიკების მშრიც უსა-ლვრ. დ. თმობის, ხოლო ამერიკელების მხრიց იმ ცნობილ გამშეღალის გადამისახმის, რ მდის გა-



მო ესენი ერთი და ორი მიღილი დოლარის დაკარგვას არაფრად აგდებენ გადებულის და არა მიღილის გახარებულს, პირობაზე ხელის მოწერისთანავე განუცხადებია ამერიკელ პრესის («ასოსიერშედ პრეს») წარმომადგენლისთვის, რომ დადებულ ხელშეკრულებას ორივე მხარესთვის დიდი მნიშვნელობა ექნებათ. არც ეს არის სიმართლეს მოკლებული. პარიშმანის სახლი ცნობილია თავისი საქმიანობით, მას უთუოდ იმდი აქვს, რომ ამ კონცესიას იგი აგათ თუ კარგათ გამოიყენებს; მოსკოვის მთავრობაც უთუოდ მოელის აქციან სარგებლობას, რადგან ჭიათურის შავი-ქვის დლევანდელ პირობებში უცხოელისთვის გადაცემა არის საბჭოების მიერ წინასწარ გაზომილი და კარგად მოყიჩებული პოლიტიკური ნაბიჯი საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული. შავი-ქვა არის საქართველოს უდიდესი სიმდიდრე; ნორმალურ პირობებში იმას შეუძლია საქართველოს ერთ უდიდეს შემოსავლის წყაროთ გადაიქცეს და მის დამოუკიდებლობის განმტკიცებას თვალსაჩინო სამსახური გაუწიოს; ეს კი მოსკოვის მთავრობის ინტერესს არ შეადგენს; მისი მიზანია, პირიქით, ასეთი საშვალებანი საქართველოს ხმარობას, რომ იგი უსახსროთ დარჩენილი მოწყალებისთვის მოსკოვის შესტეროდეს.

ამიტომ მოსაქომა მოსკოვის საქართველოს საკუთარი ემისია, როცა ქართული ფული მოსკოვის ფულშე ასევე მეტს ფასობდა; მან წაართვა საქართველოს საბიუჯეტო უფლება, რომ ისედაც დაგლახახებული ქართველი ბოლშევიკების სრულიდან ყურმოჭრილ მოხენად გადაეცია; სამხეროდ და ტრანსპორტის საქმე ხომ თავიდანვე ხელში აიღო და დღეს ეროვნული სიმდიდრის ერთ უმავრეს წყაროსაც, შავი-ქვა, სწოდა და იგი ჩვენს ხალხს ხელიდან გამოაცალა. მოსკოვგა კარგი ხანია გადასწყვიტა საქართველოს ეკონომიკურათ დამორჩილება, კერძოთ შავი-ქვის მრეწველობაც დიდი ხანია ნიშანში ჰქონდა ამოლებული: სცადეს იმის მითვისება ჯერ რაბინიგიბის საშვალებით, შემდეგ «არკოსს» ჩააბარეს იგი და ახლა საბოლოოდ მიართვეს ამერიკელ კაპიტალისტებს. 12 ივნისის ხელშეკრულება მოსკოვის კოლონიალურ პოლიტიკას აგვირგვინებს და ეს, რა თქმა უნდა, დაწერების გაახარებდა.

იმ მცავ ცნობების მიხედვით, რომელიც ჯერ-ჯერობით ბოლშევიკებმა გამოაქვენეს, ხელშეკრულობის ეკონომიკური მხარეები მეტად შძიმენ.

მთელი შავი-ქვის სამართლო რაონი სავსებით პარიმანის სავაჭრო სახლის სრულს განკარგულებაში გადადის. ამნაირათ ყველა ადგილობრივი მწარმოებელნი, რომელთაც არამეტ თუ შექმნეს ჭიათურის მრეწველობა და უკვე სამარის გამოცდილებით იყვენ ალტერნატივი, არამედ საქართველოს ინტერესებთანაც არიან დაკავშირებულნი, საქმის გარეშე რჩებიან.

ბოლშევიკებმა უხეშად უდალატეს ამასთანავე მრეწველობის ნაციონალიზაციის პრინციპს და ეს საქართველოს უდიდესი მრეწველობა უცხოელ კაპიტალისტების ჩაუგდეს ხელში ისე, რომ ზათ, როგორც ადგილობრივ ხელისუფლების, აღარავითარი მონაწილეობა საქმის მართვა-გამგეობაში აღარ ექცებათ.

კონცესიონერმა წელიწადში არა ნაკლებ 500 ათასი ტონისა უნდა განიდოს; ტონაში იგი იხდის 3—4 დოლარს. სამაგიეროთ იგი განთავისუფლებულია ყოველგვარ გადასხადისაგან, ამნაირათ აქ არა დაცული ელემენტარული წესი სამართლიანი გადასხადის — საერთო შემოსავლის კალობაზე. კონცესიონერის ინტერესია, აუცილებელი მეტად მარგანეცი განვითაროს, რადგანაც თუ პიროვნეულ პარტიაში მან, სსტევათ, თვით ინიციულებაშე მეტი ვერ მოიგო, შემდეგ პარტიულებში იგი მეტს მოგებს და ეს ზედმეტი მოგება კი ბაჟისაგან სრულიდან თავისუფლათ დარჩება. უბრალო არითმეტიკის კანონიც რომ არ უკუცებდოთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ბატონ-პატრიონებს, ისინი ადვილათ დაინახავდენ, რომ აჩემოს-კონტრაგენტობა უფრო სასარგებლო იყო: აჩემოს-შემოქმედია ხანინაში როგორც განსაპირობული გადასხადი ყოველ განიდულ ტონაზე (2 და 4 შილინგი), ისე წმინდა მოგების 35 პროც. (ბოლშევიკებმა ეს გადასხადი ხომ კიდევ უფრო გაადიდეს). გარდა ამისა ყველა ჭიათურაში არსებული ფირმები (იმავე «აჩემოს-შემოქმედი») იხდიდეს ჩვეულებრივ სახელმწიფო და ადგილობრივ გადასხადებაც. ახლა «აჩემოს» მოსპეცია, ადგილობრივ მრეწველთა მაგიტ ჩაუყენს ამერიკელი კაპიტალისტი მონაპლოურ უფლებით ალტერნატივილი და ამავე დროს იგი ყოველგვარ გადასხადისაგან გაანთავისუფლეს. განა ისეთი საქონელია მარგანეცი, რომ თუ პრემიები არ დაენიშათ იმის მყიდველი არ გამოჩნდებოდა?

სახელმწიფო იგებდა დოკუმენტის აგრძელებული ფრანგული, რადგან ფრანგტი მუშადა შეარღებული იყო აფეთქოლობრივი ცხოვრების და ჯამაგირის პირობების ცვალისადასთან. პარიმანის ფირმამ ამ მხრივაც თავი დაზღვევა: ფრანგტის რაოდენობა მისური წინდაწინევე განსაზღვრულია. იციან ნეტავი ბოლშევკიების კომერსანტებმა რა უპირატესობა ემლევა ამით კონკურსონებს?

კონცესონერის მთელი ყურადღება იქტევენა მიქცეული, რომ რაც შეიძლება მეტი განიღოს. ამიტომაც იგი მზათ არის გააფართოვოს რეინის-გზის ლიანდაგი, აგრძელება ტორი, წარმოებაში საუკეთესო ტექნიკა შემოიღოს და სხვ. ბოლშევიკები იტკინინ: რასაკირველია, რომ ყოველივე ეს ჩვენთვისაც სასარგებლო არის; მაგრამ ყოველივე ეს ხომ მხოლოდ და უმთავრესად მარგანეცის საეჭაპლუატაციო და უცხოეთში გასახიდათ კეთდება, ხოლო არც ერთში და არც მეორეში დღეიდან არც ჩვენს ხალხს და არც ბოლშევიკებს აღარავითარი წილი არა აქვთ!

მით უფრო გასოცარია ის გარემოება, რომ კონცესიონერს უფლება აქვს უბა-  
კოთ შემოზიდოს უცხოეთიდან წრმოებისთვის საჭირო საგნები და მნენჯები, როცა  
არც ამ წარმოებაში და არც მოვებაში სახელმწიფოს, როგორც ვსთვით, არავითარი  
წილი არ უდევს. ~

არ უნდა დაკიციშვილთ ბოლშევკების თვისის მეტად სასიამოვნო პირობაა: კონცესიონერებს შეაქვთ ავანსათ ერთი მილიონი ლოდარი, რასაკირველია, რუსეთის სახელმწიოდ ბანკში.

შევწიროებული იყო მეფის დროს ჭიათურის მრეწველობა, მაგრამ ამ მრეწველობის ბედ-ილბალს მანც ქართველობა განაცხდა; ბენელით იყო მაშინ მოცული მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება, მაგრამ ჭიათურის მრეწველობა მცირეოდენ თვითმართველობით მაინც სარგებლობდა; ფართ საზოგადოება დაინტერესებული იყო მაშინაც ამ მრეწველობის ბედით, მაგრამ ამიტომ მეფის მოხელეებსაც კი იგი რჩეს ეთის ხაზინისთვის არ გადაუციათ. დღვენდელ რჩეს ტიტონ-ბატონ-ბატონებმა ჯერ ჩაპელეს ჭიათურის მრეწველობა, შემდეგ კი საკეთო ხელიდან გამოსტაცეს იგი ქართველ ერს და ჩალის ფასათ უცხო კაპიტალისტებს დაუთმეს. ამით მათ ერთხელ კიდევ ცხად ჰყენებს საყოველთაოდ, რომ ერის თვითმოქმედების თვითმპურობელობასაც არ შეინტია ისე, როგორც ამის ეშინიათ ბოლშევიკებს.

მოსკოვის აგენტებმა ერთხელ კიდევ ფერებები გასთვლეს ჩვენი ხალხის ინტერესები, მაგრამ საბოლოო მიზანს მაინც ვერ მიაღწივენ: ვერც რუსეთის და ვერც უცხოეთის კაპიტალისტების კოლონიათ საქართველოს ისინი ვერ გადააქცივენ სამუდამო. განთავისუფლებული ქართველი ერი დაიბრუნებს ყველა უფლებებს, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ დარღვეული, კონცესიონერებმაც კარგად იციან თუ რა იურიდიული ლიტებულება აქვს მოძალადებისა და ლუპანტრების მიერ გაცემულ კონცესიებს. ამიტომ წინდახედული იმათვან კომუნისტებს არ ეკარგებიან და თუ აღმოჩნდა ისეთია რომ ამერიკულებისთვის ჩვეულ გამბედაობით მათ ხელი გაუწიოდა, არა დადებითა სამრეწველო მუშაობისთვის, არამედ დროებით, სასპექტულიაციოთ. მრავალ ჭირ-ვარამის მნახველი საქართველო ამასაც გადაიტანს, 12 ივნისის ხელშეკრულება კი ბოლშევიკების საქმიანობის და გამტრიახობის სანიმუშოთ ისტორიას გადაეცემა.

ମୁଦ୍ରଣକାଳୀତ୍ତବ.

ଜାର୍ଯ୍ୟତାଙ୍କୁ ବାହୀତିବୋ.

კის ეგონა, კის დაესიზმრებოდა, რომ რუსის იმპერიას მოუვიდოდა ის, რაც მას

მოუვიდა? ვის შესწევდა გამბედაობა ეთქვა, რომ დევი-იმპერია გადატრიალდებოდა ერთს მშვენიერ დღეს და მის ნანგრევებზე წარმოიშობოდა თავისუფალი საქართველო?

მე მაგონდება ერთი ჩვენი ძალზე მოხუც მოღვაწის მიერ გადმოცემული თქმულება, რომელიც მას გაეგონა პლატონ იოსელიანისაგან: რატომ ხაჩ, ყაშვილო, ასე უიმედო! ქართველ ერს გამოუვლია რომაელთა, სპასთა, არაბთა, მონლოლთა და სხვა-თა ბატონობა, სად არიან დღეს ეს ხალხნი, ეს იმპერიანი? ეხლა ჩვენ გვპყრობს რუსის იმპერია და... მას უქრამთ, კრამა, კრამთ.

ჩვენ არ შეგვწევდა, ვიმეორებ, გამბედაობა დაგვეშვა რუსის იმპერიის დამსვრე-ვა. «პლატონ ფილოსოფიისი» თეორ ყორნად გამოჩენდებოდა, თუ ადრე არა, ჩვენს თაო-ბაში მაინც. ორ-თავიან არწივის კლანჭებიდან თავის დაძრომა გამორიცხული იყო ჩვენი წარმოდგენილან.

ეს, ეხლაც ხომ იქა ვართ!—ამოითხოოს იქნება მყითხველმა. დაახ, ეხლაც იქა ვართ, რუსეთის ულლის ქვეშ; თან ჩაქერი და ნამგალი ლი-თავიან არწივზე უფრო სა-შინელია, ვერაგი... ვერც იმის გარანტიან მოუცემთ, რომ მეორე არ შესცვლის პირველს.

მაშ რაშია საქმე? იმაში, რომ ჩვენ გვაქვს დღეს ის, რაც გვაკლდა რვა წლის წინ—გამბედაობა. უხეშ ძალა ისევ მყერდნე გვაჩის, მართალია, მაგრამ ჩვენ მაინც სხვანი ვართ, ვინე ვიყავით.

ახლა თავით დავითოდა.

დაინიშნოთ ცოტა უკან. ქართველთა გულის ნადების პირველი საჯარო დემონ-სტრაციი მოხა ნოემბერში 1917 წ., ერთონულ ყრილობაზე. თუ გვაისხენებთ მაშინ-დელ სულისკვეთებას, იმ ერთანტელს, რომელიც გაუჩრბინა ყველა იქ დამსწრეთ აფ-რიალებულ ერთონულ დროშის დანახვაზე, ჩვენთვის უდარა, რომ ქართული საკითხი სწორეთ მაშინ დაისვა.

მაგრამ ჩვენ დაგვითიდა მთელი ხუთი თვე ყრა ამ ისტორიულ თარიღიდან, ვი-დრე ვიტყოდით, აპრილში 1918 წ., მეზობელ ერებთან ერთათ, რომ ჩვენ არ ვეკუთვნით რუსის იმპერიას, დამოუკიდებელი ვართ, და რადიო ამცნევდა უცხო სახელმწიფოთ, რომ დაიბადა ერთი ახალი სახელმწიფო.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკამ დიდ ხანს ვერ იცოცხლა. მე არ ვეკუთვნი იმათ, ვინც ფიქრობს, რომ ამიერ-კავკასიი დაინგრა შიგნიდან, მიუხედავათ მრავალ წინააღ-დეგობათა სწორეთ შინაგან ხასიათისა. ახლათ დაბადებულსა და ნორჩის წარესინ ჩრდი-ლოეთიდან, სამხრეთიდან—აი მიშვი.

დევბა ჩვენი მაისი. ამიერ-კავკასიის თვითხელი ერთ აცხადებს თავის დამოუკი-დებლობას. ეს იგი, პრინციპი იგივე, აპრილში გახაზული,—აქედან მეტი საბუთი ზე-ვითა დებულების დასამტკიცებლათ.

თაოსნობა ორსავე შემთხვევაში ქართველს ეკუთვნოდა. ეს ბუნებრივია, იმდენათ ბუნებრივი, რომ მეტია შექრება.

ას მაისს ჩვენ ვთქვით: «ამიერი საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა».

მაგრამ სანამ ამ ჩვენთვის საპორტ სიტუაცის ვიტყოდით, ჩვენ წაუმდებარეთ მას, თევთ დამოუკიდებლობის აქტში, ახსნა, განმარტება. უკანასკნელში იქვენ ვერ დაინა-ხავთ ერთს, ვტიქტობ, უმთავრესს: რომ ასეთია ქართველ ერის უზენაესი ნებისყოფა. ახსნა-განმარტებაში ჩვენ თითქოს მოვიტოდიშებთ, თავს ვიკატუნებთ, გარემოებამ გვაიძულაო—ვამბობთ.

რა მოვიტიდა? ნუ თუ გვაკლდა ნების-ყოფა თავისუფალ, დამოუკიდებელ ერისა? ნუ თუ გვაკლდა ალტყინება? ნუ თუ ისევ «მეტანის» კაშანი გვაჭმუნებდა? ნუ თუ ისევ აკავის «სატროფას» ვეძებდით? ნუ თუ ისევ ილიას გოდება გვესმოდა: «შენ როდის აყ-ვავდები»?

არა, მიშვინი ეს არ იყო. ნების-ყოფა არ გვაკლდა, არც ალტყინება. მოგავონებთ ისევ ნაემბრის ყრილობას. მოაზროვნე ქართველი, ათასგარ თეორიებში გახვეული, ისევ ქართველი დარჩა. ნუ დაიკვებით გადაიგდოთ ტვირთი, ის ტვირთი, რომელიც ისტორიის მოვალეობაზებზე, რომლის სიმბიო საუკუნიდან საუკუნე ისრდება. თქვენ შეიძლება დაცეც ტვირთით, მაგრამ ვერ მოიცილებთ მას: დატვირთული ჩახალთ საფლავში ან კიდევ დატვირთულებე იდგომებით ფეხზე. ეს თქვენი განკი, თქვენი ა-

სება. მე არ ვამბობ იუდა-მოლალატენე, თუმცა მასაც ესმის, რას დალატობს—ეს მისი სასჯელია.

არა, მეტათ უცხაურ პირობებში დავიბადეთ. რევოლიუციის ცეცხლიდან გამოვედით, მისმა ალმა დაგვწევა. გვაყლდა, რა გვაყლდა? იგივე გამბედაობა, რითაც დავიწყეთ. ჩეენს ნების-ყოფას, ჩეენს აღტუნიაბას გულში ვიმარხავდით, გარეთ არ ვაჩენდით. ეგ არ არის ნაკლი თავის თავათ.

არ შეიძლება უმტკინებალოთ დაბადება, მაგრამ ეს იყო სწორეთ უმტკინებალოთ დაბადება! ქართველმა არ იცოდა, მას-არ გაეგონა უმსხვერპლო თავისუფლება, მან ვერ დაიჯერა სასწაული, ვერ დააფასა... ხელიდან გაუსხლტდა!

დაგვიდგა მწარე დღეები. ტლანქი, ველური ძალა მაჯლაჯუნად გვაწევს გულზე, გასაქანს არ გვაძლევს, გვაწანევს.

და ამ ტანჯის სროს საკირველი რამ მოხდა: ქართველი უჯერის თავის თავს, იმსკვალვის შეუტრექელი რწმენით, იმრუნებს გამბედაობას. ის, რაც თავისუფლების ხანაში ხაისახა, მონიშვის ხანაში გაიფურჩხნა! შეუძლებელია ამ ორი ხანის ერთმანეთისგან დაშორება, ორივე შექმნა ის მოლიანი, ჩამოყალიბებული ტიპი თავდადებულ მებრძოლისა, რომელსაც დღევანდელი საქართველო იძლევა.

აგვისტო-სექტემბერი 1924 წ.—ეს ახალი თარიღია ქართველ ერის ისტორიაში. ეს იყო დაუჯერებელი... გიური გამბედაობა! პატარა საქართველო, დიდი რუსეთი—ორი სრულიად შეუდარებელი სიდიდე.

ქართველს დაავწყდა მიექედნა ზურგისაკენ, ჩაეხედნა შიდ ტკირთში. ის იქ დაინახვდა, რომ რაოდენობა ჩეენი სუსტი მხარე იყო ყოველთვის. პატარა ერისთვის არავერია ისე სავალდებულო, როგორც ძლითა დაზოგვა. ეს იცოდნენ ჩეენმა წინაპრებმა, ამიტომ ვითვლით დღეს საუკუნობს ჩეენი ერის ისტორიულ ასებებისას.

აგვისტო-სექტემბერი! ეს არის არ მარტო თარიღი, არამედ რაფილის ასალი-კლდეცი, საიდანაც სჩექეცს უკვდავების შადრევანი. მისი ცერი შეინდისა, როგორც ჩეენი დროშის. დაიღვარა სისხლი, სიმბოლო ჩეენი გამარჯვებისა.

ჩეენი თაობა არ გაურბოდა მსხვერპლს იდეისათვის, პლატონის „ეხრამთ“ მან იხმარა, რუსეთის მრავალ-ენიან დემოკრატიასთან ერთათ, ძველი რეჟიმის წინააღმდეგ და მით გზა გაუკათა ეროვნულ საქმეს. ჩეენი თაობა უკანასკნელი არ იყო ამ ბრძოლაში, შეუძლია იამაყოს მით.

მაგრამ უდარა ისცი, რომ ჩეენს თაობას არ ჰქონდა დასახული გარკვეული ეროვნული შიხანია. ამიტომაც სახტათ დარჩა ის 1917 წ.

ქართველი, დაახლოებით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, პირველათ ებლა ლერის სისხლს სრულიად გარკვეულ და კონკრეტულ ეროვნულ იდეალისათვის. ნუ ექვთ მსხვერპლის მეტ-ნაკლებობას ამ თუ იმ კლასის, პატიონის ან პროფესიის მიხედვით, ეგ ხომ ულირსიც იქნებოდა გათხრილ სასალავთა წინაშე.

უკვე გთხოვთ რამში მივყენოთ, იქიდან გამოვდივართ. ქართველ ერს თავისი ახალი ისტორიაც აქვს, ამას ვერ წაშლით. ის არის თანამეტეროვე ერთ თავისი სოციალური ტკივილებით და პოლიტიკური დიფერენციალით. ესეც იმდენათ ბუნებრივია, რომ მეტია შეჩერება.

რა არის მაც სავალდებულო? ერთათ ყოფნა, მთელი ჩეენი ფინიკურ და მორალურ ძალების შემცველიბა დასახულ მიზნის ირგვლივ, პატრიათ მთლიანი ეროვნული ფრონტი. სოციალური წიდილი მხროლდ თავისუფლად საქართველოში.

აი, რა არის თანამეტოვე ერის სიმწიფის მაჩვენებელი. ვართ ჩეენ მომწიფებული? ცხადია, ვართ.

მოხდა ისე, რომ სხვებმა გვიცნეს ადრე, ვინემ ვიცანით ჩეენი თავი. მიუძღვათ პატრიულ სხვადასხვაობისა, ეროვნულათ ერთნი ვართ—ქართველნი.

ჩეენ ველტვით თავისუფლებას, დამოუკიდებლობას. აქედან ჩეენი ნების-ყოფა, ჩეენი აღტუნიება, ჩეენი გამბედაობა...

ჩეენ გადავლახეთ იმპერიის საზღვრები. ჩეენ შევკივით დაწინაურებულ კაცობრიობას; ჩეენი თავის ბატონი და პატრონი ჩეენ თვითონ გვინდა ვიყოთ.

ჩეენი საკითხი საერთაშორისო საკითხია. ამას დალადებს უკვე გალებული და აწ გასაღები მსხვერპლი.

აი, ქართული საკითხი.

ანჩინ.

## გრავნედი და ხელისუფლები ბრძოლა.

არა თუ მთელი გარეშე ქვეყანა, თუთ მოსკოვის მთავრობა და შისი საკუპაციო აგნენტებიც კი საქართველოში ღრმად დარწმუნებული არიან, რომ ქართველი ერი მთელი თავისი ძალით დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიიღონ.

მსოფლიო ომის შემდეგ დამორჩილებულ ერთა ამოძრავება საყველათა ფაქტი შეიქნა, ეროვნული ბრძოლა თანადათან გაძლიერდა, განთავისუფლების იდეამ სხვადასხვა ეჭთა შორის მაგრა ფეხვები გაიდა. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას საბორთა რუსეთის მიერ დამონაბულ ხალხთა შესახებ და პირველ ყოვლისა საქართველოს.

სად უნდა ვეძიოთ ამის სათავე?

საქართველო ძლიერი იყო და არის დემოკრატიული ტრადიციებით. სოციალ-დემოკრატიის 30 წლის მოღვაწეობამ ქართველი მშრომელი ხალხი საკმაოთ გაწვრთნა და რევოლუციის ლაბირინტში სავალი გზა გაუმარა. ერთ პოლიტიკურამ მომწიფედა. განსაკუთრებით ეს თვალსაჩინო შეიქნა 1917 წლის შემდეგ, სამი წლის განმავლობაში, როცა დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ ფრთხები გაშალა და ქართველი ერის განვითარებას შესაფერი ასპარეზი გაუხსნა. სწორეთ ამით აისხება ის გარემოება, რომ საბორთა რუსეთი ჩვენში შემოჭრა არა როგორც რევოლუციური ძალა—ასეთი იყო ლენინ-ტროცქის განჩხახვა—არამედ როგორც გაშიშვლებული იმპერიალიზმი, რომელმაც მიანგრ-მოანგრია ქვეყანა და ის ბარბაროსაბობაში გადაისროლა. საქართველო-ლოში მან ვერ პპოვა ოდნავ ხელსაყრელი ნიადაგი, როგორც ეს მოხდა უკრაინაში. აქ გერმანი სკოროპარსკი დაეყრდნო მემამულეთა წრეებს, თებერვლის რევოლუციის მთავარ ლომუნგს—მიწის საკითხის გლეხთა სასაჩრებლოთ გადაჭრას—მან აშკარა ამი გამოუტაცა. ამიტომაც იყო უკრაინის გლეხობა მას აუმჯობერდა, დამოუკიდებელ, მაგრამ იმ ხანათ რეაქციონურ უკრაინას ზურგი აქცია და გზა გაუხსნა საბორთა რუსეთის შემოსვლა-გაბატონებას. სოციალურმა რეაქციამ უკრაინას ეროვნული თავისუფლება წაარცია. პირიქით, აგრარული საკითხის დროხ და შესაფერად გადაჭრამ და ფართო დემოკრატიულმა რეფორმებმა ქართველ ხალხში დამოუკიდებლობის იდეას მკვიდრი საფუძველი შეუქმნა. სოციალური ბრძოლა ეროვნული თავისუფლების გზა და ხიდი შეიქნა.

ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო შეიქნა მას შემდეგ, რაც საქართველოს შემოხსია საბორთა რუსეთის ლაშქარი და ჩვენში მოხვევის აგნენტთა ბატონობა დააწესა.

იბადება კითხვა: რას წარმადგენს ეს საკუპაციო რეეიმი?

პირველ ყოვლისა ეს უცხო ძალა, გადამთივრება ხიშტით პატარა ერის თავისუფლების განადგურება. მართლია, იყო დრო, როცა რუსეთის კომუნისტური პარტია პატარა ერებს თავისუფლებას პირდებოდა და რუსეთისაგან გამოყოფის უფლებასაც უთავაზებდა. მაგრამ ეს იყო დემაგოგიური თინი რუსეთის დემოკრატიის დასულდურებლათ და სამოქალაქო იმის გასაჩაღებლათ. და აა, მიაღწიეს თუ არა მიზანს, დაპატრიონენ რა სახელმწიფო ძალაუფლებას, საბჭოთა რუსეთის მესვეურებმა მეფეთა ძველი იმპერიალისტური დროშა ამართეს, სუსტ მეზობლებს ხიშტით იმორჩილებენ, ხოლო ძლიერთა დასატუქსავათ შინაურ სამოქალაქო იმის ცეცხლს უნთებენ და შიგნიდან აფეთქებას ლამობენ. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ერები საკმაოთ მოღონიერდენ და საკუთარ ფეხშე დგებიან. კერძოთ საქართველომ 1918—1921 წწ. განმავლობაში აღადგინა საკუთარი სახელმწიფო, გაიკაფა თავისი გზა და რასაკირველია არასოდეს არ შეურიგება თავისუფლების დაკარგვას.

თებერვლის რევოლუციის ლომუნგი იყო დემოკრატიის გაბატონება. ეს მოხერხდა საქართველოში, სადაც ხალხი პოლიტიკურამ მომწიფებული აღმოჩნდა, ხოლო ეს შეუძლებელი შეიქნა რუსეთში, სადაც რევოლუცია დღესდღეობით ახალი და უსაშინელები დესპოტიის დამყარებით დამთავრდა. საქართველოსა და რუსეთის გზა ერთიმიმორს დამორჩილება და კარიბობა და ტრანსიტი ხიშტით გაუქმდა დამოკრატიული შავირჩმელი და კარიბობა ნაციონალისტი ქართველ ერს «წითელ» მოხელეთ მოევლინა. დღეს ჩვენში ბრმაც კი ხედავს, რომ მოხკოველთა ტირანიის მოსპობა და დემოკრატიის კვლავ გაბატონება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით.

განადგურდა მუშათა კლასი. მას აერთვა სწორეთ ის უფლება, რითაც თანამედროვე პროლეტარიატი სხვა დამორჩილებულ კლასთავან ნიხვავდება. ეს არის უფლება თავისუფალ ბაზარზე თავისი სამუშაო ძალის გაყიდვის და მხაგრებლითა წინააღმდეგ სოციალური ბრძოლის ატენის. მუშები ფაქტურათ ვიჯაჭვულია ქარხნებზე და მოკლებულია გაფიცივის უფლებას. ამ გზით თავისუფალი სინდიკალური მოძრაობა გაუქმდა. მუშათა კლას ექსპლუატატორთ წინაშე ხელფეხი შებორჟილი აქვს, განძრევის უფლება წარმოეული აქვს. პროლეტარიატი მონებათ გადაქციებს. ეს კიდევ ცოტაა. წარმოების შემკირებით მუშა იძულებული შეიქნა მოვკალათებია კომუნისტურ ბიურო-კრატიაში (ჩეკი, მილიცია და სხ.), ან და თავი შეეფარებია სოფლისთვის. მოკლეთ, მთელი თანამედროვე საზოგადოება დაირღვა. ახალი დროის კლასები გაუქმდა. ქალაქი ჩამოქვეითდა. წარმოებას სოფელი დაეპატრონა. ამ გზით ოუსეთი დიდი ხნით უკან გადაისროლებს.

რა გასავირცველია, კულტურულათ ამაღლებული ქართველი ერი ასეთ მდგომარეობას ოდნავ ვერ უჩიგნებოდება.

საქართველოში არ მოიძებნება ოდნავ თვალსაჩინო ნაწილი, გარდა უცხო ელემენტებისა, რომლის სოციალური ინტერესი ჩვენში რუსეთის ბატონობის დამკვიდრებას ითხოვდეს. პირიქით, აიღვთ მუშა თუ გლეხი, ვაჭარ-მრეწველი თუ ინტელიგენტი. მათი მდგომარეობა ნახვავდება, ხშირად ესენი ერთომეორეს ებრძვიან, მაგრამ ყველანი ერთად საკუთაციო რეების დამხობას ელოტიან. ყველას სოციალური ინტერესი საქართველოს დამოკიდებლობის აღვენას მოითხოვს. თუ თვითმმკრძალებობის კამა სოციალური მომენტი ქართველობას მეფის წინაშე თიშვავდა, დღეს ის მას საბჭოთა რუსეთის წინაშე აერთიანებს და მით საქართველოს განთავისუფლებას აჩვარებს. დღეს სოციალური ბრძოლა ხელს უწყობს ანტიბოლშევიური ფრონტის გაძლიერებას და რუსეთის იმპერიალიზმის დამარცხებას ემსახურება.

ეროვნულმა ბრძოლამ ახალი უდიდესი მოვალეობები იმოვნა. ეროვნულ მომენტს სოციალური მომენტიც ზედ დაერთო. ამიტომაც არის, რანაირი ბრძოლაც უნდა გაჩადეს საქართველოში, იქნება ეს ბრძოლა აშკარა ეროვნული დროშის ქვეშ, გლობალური ამხედრება აუტანელ გადასახადთა წინააღმდეგ. მუშათა შეტაყება პატრიოთა წინააღმდეგ თუ სხვა, ყველაფერი ეს აუცილებლათ საოცნებაციო რეენიშს წინააღმდეგ მიიმართება და ერთი განთვისეუფლების მთახლოვებას ნელს შეუწყობს. სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ საქართველოს ბრძოლის სიდიდად და მისი უძლეველობა.

ପ୍ରକାଶ ପତ୍ରିକାରେ ମହାନ୍ତିରାଜୀବିନ୍ଦୁ ମହାନ୍ତିରାଜୀବିନ୍ଦୁ

საბჭოთა რეერმი განტირულია. მისი დაცემა მოახლოვებულია. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა უსრულებელყოფილია.

Եղի Շամօնյան.

$\tilde{0} \rightarrow \tilde{\phi} \rightarrow \tilde{\phi} \rightarrow 0$

საქართველოს ხალხის აჯანყებას თავისუფლებისათვის ბოლშევიკებმა უპასუხდეს—«მიცუბრუნდეთ სოფელსო». ხოლო ეს «მიძრუნდება» გამოიხატა იმაში, რომ სოფელს უმაღლესათ უწყალობეს თავისი მოსამასახურეთა პირების 『თავისუფლათ』 არჩევა. დაიწყეს არჩევანი ჩეკის და კომუნისტების ზედამხედველობით და ნებართვით. ეს იყო პირველი ცდა დევანდველი სოფლის გათანასწორებისა თვითმკრძალებელ რეერგიის სოფლისათვის, როცა ყრილობა ბოქაულის ზედამხედველობით იჩინებდა თავის მოხელეთ. ამაზე უფრო შორს ბოლშევიკების 『შემოქმედება』 რასაკვირველია ვერ წა-



ვა, მარა ესეც მათ ლეთის რისხვათ მიიღეს და დაიწყეს უკან-უკან ხევა. თავისუფერობის აღაგას ააღაპარავეს. პოლიციის აპარატები და ბოლოს გამოვიდა, რომ საბჭოების ყრილობის წევრთა 80 პოლიციის ისევ კომუნისტები აღმოჩნდა. სოფელს ვერ მიანიჭეს ნიკოლოზის უფლებაც კი. ძევლი რეეიმი რამდენიმეთ მანც ენდობოდა ხალხს, მამასახლისს მაინც გლეხი თავის გემონები ირჩევდა. ბოლშევიკები ხალხს სრულ უნდობლობას უცხადებნ, მის წება-სურვეილს არავითარ ანგარიშს არ წწევენ და რა გასაკვირველია, სოფელს იქერდენ მაკაში და მას გასაქანს არ აძლევდენ. სოფელი უუფლება, გლეხი კომუნისტების ყმობაშია ჩაჟერილი და არც აქვს რაიმე დამოუკიდებელი არსებობა.

ეს სოფლის უუფლებობა ახლა გადაიქცა საქართველოს საერთო უუფლებობათ. აქმდე საბჭოებს რაღაც მაინც ეკითხებოდნ, მათ საერთო ყრილობებშე პოლიტიკური კამათიც კი გაისმოდა, ადგილობრივ მთავრობას რაღაც სამთავრობო ფუნქციები ჯეონდა. ახლა ყოველივე ეს გაპრა, თუმცა სახელები ისევ ძევლი დარჩა. საბჭოთა უკანასკნელ ყრილობაზე ლაპარაკია მხოლოდ საბალაზოს, არხებზე, გადასახადების უკეთ განაწილებაზე, წყალწე, ბამბაზე—ერთი სიტყვით, საერთო საგნებზე, რაც წინეთ რუსეთში მახრის ერობას, ხოლო ჩვენში მახრის უფროსს ექვემდებარებოდა. მეორე მხრით, ძევლი ბოლშევიკური კომისარიატები თანდათან უქმდება და მათ ნაცვლათ ცენტრის რწმუნებულები მყარდება, ისე, როგორც ეს ნამესტნიკის მართველობის დროს იყო. ხელუხლებლათ დარჩა მხოლოდ ჩეკა, ხალხის დარბევა და უდანაშაულოთა დახვერეტა.

ჩამოგვეითეს რა ასე სასაცილით საბჭოები, მას მეთაურათ უკლინისტების ჩან-ჩალა ლიდერი დაუყენეს. ფ. მახარაძე გახდა ლირსათ „უმალესი“ ნატაძისა და სწერს ახლა დეკრეტებს მეჯოგეობაზე ბანქზე, გრგირდ „ბუდაზე“ და სხვა ასეთ საბოქაულო პოლიტიკაზე“. მახარაძე დიდათ გახარებულია, თავისი არჩევა რაღაც გამარჯვებათაც კი დასახა და საამისა სეფევა სიტყვა წარმოსთვევა. ნამდვილათ კი ის კანოსაში მიაბრძანეს და შალვა ელიაშვილიაშვილი დააჩინება. ეს მან გემრიელათ მიიღო და შეუდგა „ახალი ხანის“ თავის სასაჩვებლოთ გამოყენებას. ის მეტათ აღფრთვევანებულია იმ ყრილობით, რომელმაც ის უმალესი წებართვით თავმჯდომარეთ არჩია და მოყოლია თავის ამზრეველთა ქებას. „სად მომხდარა და ვის გაუგია,—სწერს ის,—რომ ქალამნინი გლეხი, შეიძლება წერავითხვის უცრიდინარიც, გამოსულიყოს და საჯაროთ კრიტიკა გაკეთებიოს მთავრობის მოქმედებისათვის და პირდაპირ, უშუალოთ, თავის ძმების და ამხანავების სახელით ელაპარაკოს გლეხების საჭიროებაზე, მათ ჭირ-ვარამ-ზე“ («კომუნისტი», ნ. რი 81).

აი რა დიდი ამბავი მომდარა: გლეხმა თურმე გაბედა ენის დაძრა საბალაზოსა და გზების შესახებ! ამ ვაებატონს ახლა აღარ ასსოვს, რომ გლეხი ასეთ „კრიტიკას“ მუდამ მისდევდა და ეს არც ღოდეს აკრძალული ქონებია. ის მუდამ ჩიოდა ამ საგანგებოების დოქულთან, მახრის უფროსთან, გუბერნატორთან. ის მხოლოდ ვერ უბედავდა მეფის მთავრობას აშკარათ პოლიტიკურ კრიტიკას, ვერ ბედავს დღესაც. საბჭოთა ყრილობაზე არც ერთი მოლაპარაკე არ შეხებია პოლიტიკურ საკითხს, ხოლო ჩემათ, თავისთვის მას უმთავრესათ ეს საკითხები აინტერესებს, ისე როგორც ეს მას ძევლი რეეიმის დროს სხვევია. მახარაძეს აღმართა არასოდეს არ უნახავს გლეხთა არალეგალური კრებები, სადაც აქალამნინი იორატორი მეფის მთავრობას ძირს უთხოდა. ქართველი გლეხი მას აღმართ პოტენტორათ მიაჩინია. რომელიც მხოლოდ ახლა სწავლობს ამოსაღებს, კომუნისტები ხალხისაგან გაცილებით უფრო დაშორებული არიან, ვინემ მეფის აგენტები იყვნენ.

მახარაძის ბეჭუნის სიბრძინვეს არასოდეს არც ერთი ბოქაულიც კი არ იტყოდა.

ამნარათ, უკლინისტებმა აღვითქვეს ქვეყნის შენტრევა და გაათავეს ჭირვალას წინაშე დაჩინებით. ეს ლაჩარი ხალხი არაფრით გას თურქესტანის „უკლინისტებებს“, რომლებმაც გაბედეს და კიდევაც გაიტანეს უზბეგისტანის გამოყოფა და პირდაპირ, უშუალოთ საბჭოთა კაშმირში შევევან. საქართველოს გაუზებებისტანებაც კი ვერ შეძლეს მახარაძის ამქარმა. და ახლა, უზბეგისტანის კი არა, უბრალო ერთბის ფუნქციებსაც მოყლებული ერთ მათ დიდ მიღწევათ მიაჩინათ და გაკვირვებას გამოთქმები იმ გლეხისამდი, რომელიც თურმე ისე განვითარებულა. რომ თავის დღიურ ჭირვარამზე ლაპარაკობს! ისინი ამითაც კმაყოფილი არიან, ამაზე შორს მათი იღეალი ახ-

ლა აღარ მიდის. მხოლოდ ამ კმაყოფილების გასაღიდებლათ თან უმატებენ—ასეთი ამბავი არ იყ მენშევიკების დროს მომზდაროს! კრების და სიტყვის სრულ თავისუფლების ხანაში გლეხს თურმე არ შესძლების თავისი ანრი საჯაროთ გამოექვა! ვის აჯერებს ამით ბ. მახარაძე, ქართველ მკითხველს? მან ხომ ყვალიაფერი კარგათ იცის, თავის თვალით ნახა მენშევიკური და ბოლშევიკური ოჯები და კაი ხანია განჩინება გამოიტანა. არა, ასეთი თვალომაქცობით ეს ჟულონისტების ჩანჩალა ტოლუშმაში ვერ დაფარავს თავის ჩამოჩანჩალებას ელიავა-ორჯონიქიძემდე. ამაოგან მან უკვე მიიღო შენდობა...

